



MES 4 21 0000693198



09/07/2021

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 25.06.2021

სხდომის დაწყების დრო: 14:08 სთ

სხდომის დასრულების დრო: 19:50სთ

საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი

სხდომის მდივანი: მაკა კაჭარავა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ანზორ ბერიძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
4. **გაიოზ ფარცხალაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
6. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
7. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
8. **დიანა მჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
9. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;

10. თამარ ჩხეიძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

11. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

12. ნინო ინასარიძე - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	ნინო ალავიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
3	თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5	ქეთევან თელია	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
6	ნინო სარჯველაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
7	დავით ბურჯანაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
8	ანა ჯავახიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
9	ნინო გულიაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ირმა გრძელიძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I, II, III, IV, V, VI, VII, VIII
2	იოსებ ჩიკვაძე			I, II, III, IV

			საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორი	
3	ომარ მუკბანიანი		სამაგისტროს საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორი	I, II, III, IV
4	ბეჟან ჭანკვეტაძე		„ქიმიური ექსპერტიზის“ სამაგისტროს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I, II, III, IV
5	გია ბეზარაშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი	I, II, III, IV
6	ნინო თაყაიშვილი		„ქიმიური ექსპერტიზის“ სამაგისტროს საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი	I, II, III, IV
7	ნელი სიდამონიძე		დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი	I, II, III, IV
8	თამარ ჭელიძე		ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი	I, II, III, IV
9	რამაზ ხომერიკი		ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	I, II, III, IV, V, VI, VII, VIII
10	ომარ ფურთუხია		საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	V, VI, VII, VIII
11	გია ავალიშვილი		„გამოყენებითი მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	V, VI, VII, VIII
12	თეიმურაზ ახოზაძე		„მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	V, VI, VII, VIII
13	გიორგი ჯაიანი		„გამოყენებითი მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	V, VI, VII, VIII
14	გრიგორ გიორგაძე		სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორი	V, VI, VII, VIII
15	თამარ ჭელიძე			

		ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი	V, VI, VII, VIII
16	ქეთევან შავგულიძე	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, პროგრამის განმახორციელებელი	V, VI, VII, VIII

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონულ საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ინგა ბოჭოიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II, III, IV
2	ინგა ლომაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II, III, IV
3	მამუკა მაისურაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II, III, IV
4	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II, III, IV
5	ელენე ხურციძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II, III, IV
6	რომეო გალდავა	(ჩაერთო „ზუმით“)	V, VI, VII, VIII
7	ვლადიმერ ბალაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V, VI, VII, VIII
8	გიორგი რამიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V, VI, VII, VIII
9	ირმა ქურდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V, VI, VII, VIII
10	თამარ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V, VI, VII, VIII

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიმკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:08 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

- 1.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- 2.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- 3.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიური ექსპერტიზის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- 4.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

	ზელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დამკვეთის წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების ბაკალავრი ქიმიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ქიმია - 0531
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზირი №1, თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ინგა ბოჭოიძე მიესალმა საბჭოს წევრებს და სხდომაზე დამსწრე პირებს. მისი თქმით ექსპერტთა ჯგუფის წევრები გახლდნენ: ინგა ბოჭოიძე

(თავმჯდომარე), ინგა ლომაძე, მამუკა მასურაძე, თამარ გვიანიშვილი და ელენე ხურციძე. ვიზიტი გაიმართა ე.წ. „ჰიბრიდული“ მეთოდის გამოყენებით 2021 წლის 25, 27 და 28 მაისს. 28 მაისს განხორციელდა უნივერსიტეტის მატერიალური რესურსის დათვალიერება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

კომპონენტი 1.2

- გადაიხედოს პროგრამის შინაარსი იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს მეოთხე სწავლის შედეგის მიღწევა - ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით დაწესებულების პოზიციიდან და სილაბუსის შინაარსიდან გამომდინარე კონკრეტული სწავლის შედეგის განვითარება ხდება, თუმცა ფორმირებისთვის უკეთესი იქნებოდა ყოფილიყო საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც არჩევითი სახით იყო კონკრეტული პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული;

კომპონენტი 2.2

- გასწორდეს საფაკულტეტო სასწავლო კურსების სტატუსი, როგორც პროგრამის სასწავლო გეგმაში, ისე შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში - რაც ტექნიკური ხარვეზი იყო, თუმცა გასასწორებელია და ამიტომ დარჩა რეკომენდაციაში;
- გადაიხედოს „საბაკალავრო ნაშრომის“ სტატუსი, რათა ყველა კურსდამთავრებულისთვის იყოს უზრუნველყოფილი შემდეგი სწავლის შედეგის მიღწევა: „შეუძლია ქიმიური ექსპერიმენტის ტრადიციული და ზოგიერთი უახლესი მეთოდებით კვლევითი პროექტის წინასწარ განსაზღვრული მითითებების, აგრეთვე სიტუაციური პირობების მიხედვით განხორციელება“;

კომპონენტი 2.3

- გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან - ექსპერტთა ჯგუფმა ზოგიერთ სასწავლო კურსთან მიმართებით გაიზიარა დაწესებულების პროზიცია და დაწესებულებაც იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის პოზიციას;
- პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის ლაბორატორიული მეცადინეობებისათვის განსაზღვრული საათების რაოდენობას და შეუსაბამოს ის კურსის შინაარსს;

კომპონენტი 2.6

- გადაიხედოს იმ სასწავლო კურსების შეფასების კრიტერიუმები, დასკვნით გამოცდაზე დაშვების პირობასთან მიმართებით, რომლებშიც გათვალისწინებულია ლაბორატორიული მეცადინეობები და განისაზღვროს ის სწავლის შედეგების უნარების კომპეტენციის მიღწევასთან შესაბამისობით - აღნიშნული რეკომენდაცია კონკრეტულ სასწავლო კურსებთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა და ექსპერტთა ჯგუფმა უკვე მიიღო პასუხი მისი გასწორების შესახებ.

მისი თქმით აღნიშნული შინაარსის პროგრამების მომზადება ამ პირობებში, მითუმეტეს მიმდინარეობს მეორე კორპუსის სრული რეაბილიტაცია, ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა აღნიშნული პროგრამა და მადლობა გადაუხადა დაწესებულებას ყველა კითხვაზე ადეკვატური პასუხის გაცემისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ირმა გრძელიძე, მიესალმა საბჭოს წევრებს და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან სიტყვა გადასცა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორს, იოსებ ჩიკვაიძეს.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორი, იოსებ ჩიკვაიძე, მიესალმა საბჭოს წევრებს და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს ჰქონდათ საქმიანი შეხვედრები ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან, რის შემდეგაც ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რჩევები პროგრამის გაუმჯობესებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა განეხილა მხოლოდ ის რეკომენდაციები, რომლებსაც დაწესებულება არ იზიარებდა.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორმა განაცხადა, რომ არ იყო არცერთი რეკომენდაცია, რომელსაც დაწესებულება ცალსახად არ იზიარებდა. იყო რეკომენდაციები, რომლებსაც ან უკვე ითვალისწინებენ ან აპირებენ მომავალში გათვალისწინებას. მაგ., პირველი რეკომენდაცია - გადაიხედოს პროგრამის შინაარსი იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს მეოთხე სწავლის შედეგის მიღწევა, სადაც მისი მოსაზრებით იგულისხმებოდა, რომ მეოთხე შედეგისთვის, რადგან საბაკალავრო ნაშრომი არ შედის სავალდებულო სასწავლო კურსთა ნუსხაში ეს შედეგი მიუღწევადია, მაგრამ ეს ასე არ არის, პროგრამაში აქვთ ბევრი ისეთი სასწავლო კურსი, რომელიც ითვალისწინებს იმ კომპეტენციებს მიღებას, რასაც ჰქვია „შეუძლია ქიმიური ექსპერიმენტის ტრადიციული და ზოგიერთი უახლესი მეთოდებით კვლევითი პროექტის წინასწარ განსაზღვრული მითითებების, აგრეთვე სიტუაციური პირობების მიხედვით განხორციელება“, არის უამრავი საგანი, რომელშიც ლაბორატორიულ პრაქტიკუმებში ეს კეთდება და შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულება ამ კომპეტენციას აძლევს, მიუხედავად იმისა საბაკალავრო ნაშრომი შეასრულა თუ არა სტუდენტმა, მან შედარებისათვის განაცხადა, რომ მათ აქვთ ლაბორატორიული სამუშაოები, სადაც ეს კომპეტენციები უნდა აიღოს სტუდენტმა, მთლიანად 480 საათის ოდენობით, როდესაც არის ასეთი ამერიკის ქიმიური განათლების სერტიფიკატი სადაც ეს გათვალისწინებულია 400 საათის ოდენობით, შესაბამისად უკეთესი იქნებოდა აღნიშნული რეკომენდაცია გადასულიყო რჩევაში.

მისი თქმით, მეორე რეკომენდაცია მოიცავდა „ქიმიის შესავლისა“ და „ფიზიკის შესავლის“ სავალდებულო სასწავლო კურსებად აღიარებას, რომლებიც საფაკულტეტო საგნების ნუსხაში არ არის გაწერილი, როგორც სავალდებულო სასწავლო კურსი, ერთი მათგანი წარმოადგენს ქიმიური საგნების წინაპირობას, ხოლო მეორე მათგანი ფიზიკის საგნების წინაპირობას, რომელიც ასევე ქიმიის საბაკალავრო პროგრამისთვის არის სავალდებულო, ამდენად ფაქტობრივად გაწერილი იყო, როგორც სავალდებულო სასწავლო კურსი, მაგრამ პროგრამაში არ ეწერა და აღნიშნული უკვე გასწორებულია.

„საბაკალავრო ნაშრომის“ შესახებ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ საბაკალავრო ნაშრომის გარეშეც შესაძლებელია აღნიშნული კომპეტენციის მინიჭება და რეკომენდაციის საფუძველზე შეუძლიათ გადახედონ საკითხს და მოხდეს პროგრამის გეგმიური შეფასება-ანალიზის საფუძველზე რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინება.

დაწესებულების წარმომადგენლებმა არ გაიზიარეს 2.3 კომპონენტთან დაკავშირებული რეკომენდაცია - „ორგანული ქიმია 1“ და „ორგანული ქიმია 2“ სასწავლო კურსებში ორივე სილაბუსში მითითებულია, რომ „კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია: ორგანულ ნაერთთა გასუფთავებისა და ლაბორატორიაში უსაფრთხო მუშაობის სტანდარტული მეთოდების გამოყენება პრაქტიკაში“ - დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით ორგანული ქიმიის კურსის გავლისას რომელიც 2 სემესტრიანი კურსა და აქვს 15 კრედიტი, გასუფთავების საკითხებს სტუდენტი ეცნობა პირველ ორ ლექციაზე, თუ რას გააკეთებს და აქ არ უნდა დამთავრდეს სასწავლო კურსის სწავლება, რადგან არის ამოცანათა მთელი წყება, პირველ და მეორე ნაწილში, სადაც სტუდენტი იღრმავებდა აღნიშნულ კომპეტენციებს, რადგან თითოეული ამოცანის შესრულებისას მას უწევს თითოეული პროდუქტის

გამოყოფა/გასუფთავება და იმ მეთოდებს, რომლებსაც პირველ ორ ლექციაზე გაეცნო ახლა იძენს და „ორგანული ქიმია 2-ის“ დასრულების შემდეგ საკმაოდ კომპეტენტურია, შესაბამისად აღნიშნული რეკომენდაცია არ არის გასათვალისწინებელი.

მეხუთე რეკომენდაციასთან („ქიმიური ექსპერტიზის მეთოდები 1“ სწავლის შედეგია „ქიმიური ექსპერტიზისათვის გამოყენებული ანალიზის კლასიკური და ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების საფუძველზე ანალიზის შედეგების დამოუკიდებლად დამუშავებას და ვალიდაციას.“ ეს სწავლის შედეგი მითითებულია პასუხისმგებლობა/ავტონომიურობის კომპეტენციაში, რაც რეალურად უნარია. სასწავლო კურსი „ქიმიური ექსპერტიზის მეთოდები 2“ სწავლის შედეგია „კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი შეძლებს: სხვადასხვა ტიპის ობიექტების ექსპერტიზას და სერტიფიცირებას; ქიმიური ანალიზის შედეგების დამოუკიდებლად კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობით დამუშავებას და ვალიდაციას“. ვინაიდან, აღნიშნული სასწავლო კურსი არ ითვალისწინებს ლაბორატორიულ მეცადინეობებს ამ სწავლის შედეგების მიღწევა რთული იქნება) დაკავშირებით მისი მოსაზრებით აღნიშნული შედეგი უნარებიც არის, თუმცა აღნიშნულ კომპეტენციის უმეტესი წილი მოდის „ექსპერტიზის“ პასუხისმგებლობითა და კეთილსინდისიერად ჩატარებაზე, შესაბამისად პასუხისმგებლობა/ავტონომიურობის ნაწილში უფროა აღნიშნული შედეგის ადგილი ვიდრე უბრალოდ უნარებში, რადგან ეს არ არის უბრალოდ უნარები, ძირითადად საუბარია პასუხისმგებლობაზე, სასამართლო ექსპერტიზა, საკვები-პროდუქტების ექსპერტიზა, სამკურნალო ნივთიერებათა ექსპერტიზა და სხვა, უდიდესი პასუხისმგებლობა ენიჭება ადამიანს, რომელიც ამას აკეთებს, მითუმეტეს ეს არ არის მხოლოდ ანალიზის შედეგი, იგი ვალიდაციასა და სერტიფიცირებას გულისხმობს. მეორე ნაწილია, რომ უკეთესი იქნებოდა მეტი ლაბორატორიული სამუშაო ყოფილიყო, რასაც დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ, მათ მიაჩნიათ, რომ ვინაიდან აღნიშნული სასწავლო კურსი არის არჩევითი სასწავლო კურსების კატეგორიიდან გადამწყვეტი მნიშვნელობა თვითონ პროგრამის კომპეტენციებში შედარებით ნაკლებია, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლები მზად არიან განიხილონ აღნიშნული საკითხი პროგრამის შედეგების ანალიზის დროს მომავალში.

დაწესებულება დაეთანხმა შემდეგ რეკომენდაციას, მან განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები მზად იყვნენ ლაბორატორიული სამუშაოების ჩამონათვალისთვის დაემატებინათ ჰაერის ანალიზი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორმა შემდეგი რეკომენდაციის (სასწავლო კურსებში „ფარმაცევტული ქიმია 1“ და „ფარმაცევტული ქიმია 2“ სწავლის შედეგი „პრობლემების გადასაჭრელად დარგისთვის დამახასიათებელი მეთოდის გამოყენება პრაქტიკული ხასიათის პროექტების განხორციელების მიზნით.“ ერთ შემთხვევაში მითითებულია ცოდნა და გაცნობიერების, ხოლო მეორე შემთხვევაში უნარების კომპეტენციაში) შესახებ განაცხადა, რომ სადაც შედეგებში იყო მითითებული ის ნაწილი დარჩა და სადაც მითითებული იყო ცოდნა და გაცნობიერება - ამოღებულია. შესაბამისად აღნიშნული საკითხი სილაბუსში უკვე ჩასწორებულია.

შემდეგ რეკომენდაციასთან („საწარმოო პრაქტიკის“ სწავლის შედეგია: „სტუდენტს პრაქტიკის გავლის შემდეგ შეეძლოს მოახდინოს ქიმიური ნაერთების სინთეზი და ჩაატაროს მათი ანალიზი ქიმიური სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით.“ ვინაიდან, სილაბუსში მითითებული შინაარსი ზოგადი ხასიათისაა, ვერ ხერხდება დადგენა, მიაღწევს თუ არა სტუდენტი აღნიშნულ სწავლის შედეგს) დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ გაუგებრობა გამოიწვია ქიმიური ნაერთების სინთეზმა აღნიშნულ შემთხვევაში, რადგან მხედველობაში ჰქონდათ ისეთი საწარმოები, სადაც ხდება ახალი ნივთიერებების მიღება, მაგ., სტაბილური იზოტოპების ქარხანა, მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი, RMG - მადნეულის კომბინატი და სხვა, თუ იქ მოხვდება სტუდენტი, რა თქმა უნდა ნივთიერებათა სინთეზსაც გაივლის, ხოლო დანარჩენი აღნიშნულ შედეგში სტუდენტი ძირითადად ეცნობა ტექნოლოგიას, მაინც ხდება ნივთიერებათა გარდაქმნა, მაგრამ ეს არ არის ძირითადი.

რეკომენდაციასთან (პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა გადახედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის ლაბორატორიული მეცადინეობებისათვის განსაზღვრული საათების რაოდენობას და შეუსაბამოს ის კურსის შინაარსს) დაკავშირებით მან განმარტა, რომ კარგი იქნებოდა აღნიშნული რეკომენდაცია ყოფილიყო რჩევის სახით, ვინაიდან 480 აქვთ სრული ლაბორატორიული საათები და ამერიკის ქიმიის საზოგადოების სერტიფიცირებაზე მოთხოვნილია მინიმუმ 400 საათი, დაწესებულების წარმომადგენლებს აქვთ სურვილი, რომ გაზარდონ, რასაც მისი მოსაზრებით მოახერხებენ პროგრამის გეგმიურ შეფასების ანალიზზე.

ბოლო რეკომენდაციის (გადაიხედოს იმ სასწავლო კურსების შეფასების კრიტერიუმები, დასკვნით გამოცდაზე დაშვების პირობასთან მიმართებით, რომლებშიც გათვალისწინებულია ლაბორატორიული მეცადინეობები და განისაზღვროს ის სწავლის შედეგების უნარების კომპეტენციის მიღწევასთან) შესახებ მან აღნიშნა, რომ დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა ჰქონდათ 11 ქულა, საბოლოოდ დადებითი შეფასება არის 51 ქულა, ეს იმ შემთხვევაში, რომ სტუდენტს არ დაეკარგოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება, რომ მან არ იაროს მეცადინეობაზე, მაგრამ ჩააბაროს გამოცდა და ჯამში დააგროვოს 51 ქულა, აქამდე, ამ პრინციპიდან გამოდიოდნენ, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლები აცხადებენ მზაობას, შეიტანონ შესაბამისი ცვლილებები აღნიშნულ 11 ქულასთან მიმართებით, იმ საგნებში, რომელშიც არის ლაბორატორიული სამუშაოები შევიდეს ლაბორატორიული შეფასების მაქსიმუმის 25%, თუ ეს პუნქტი არ შესრულდება სტუდენტი არ დაიშვება ფინალურ გამოცდაზე, აღნიშნული ცვლილება უკვე შეიტანეს შესაბამის სილაბუსებში.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭო არ არის უფლებამოსილი მხედველობაში მიიღოს დასკვნის შემდგომ ინსტიტუციის მიერ განხორციელებული ცვლილებები.

14:16 საათზე საბჭოს შემოუერთდა ნინო ინასარიძე, რომელმაც განაცხადა თვითაცილება, თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, მკა კაჭარავა მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს, სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ისწავლება უცხო ენა 2 ნაწილი, დაინტერესდა თუ რომელ უცხო ენაზე/ენებზეა საუბარი, რა დონიდან იწყება სწავლა და თუ არის საკმარისი, რომ სტუდენტები გაეცნონ ლიტერატურას აღნიშნულ უცხო ენაზე.

მერვე შედეგთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ჩამოყალიბებული იყო შემდეგნაირად „შეუძლია საკუთარი საქმიანობის ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით განხორციელება“, დაინტერესდა, თუ როგორ მოხდება აღნიშნული შედეგის მიღწევა და გაზომვა, რადგან მან შეისწავლა სასწავლო გეგმა და არც „აკადემიური წერა“ ისწავლება და „საბაკალავრო ნაშრომიც“ არჩევით სასწავლო კურსად არის შეთავაზებული.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისი კითხვები ქიმიის ოთხივე პროგრამაზე ვრცელდებოდა. მისი თქმით ბიუჯეტი დეტალურად იქნა წარმოდგენილი, უნივერსიტეტის, ფაკულტეტის და თვითონ პროგრამის, სადაც ნაჩვენებია წყარო პროგრამის შემოსავლები/ხარჯებთან დაკავშირებით, რაც კარგია. მან აღნიშნა, რომ დამსაქმებელთა გამოკითხვის დოკუმენტში ტექნიკური ხარვეზი იყო, თუმცა იყო დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები, სადაც 164 დამსაქმებელია გამოკითხული სფეროების მიხედვით, აღნიშნული დოკუმენტი იყო დანარჩენ პროგრამებზეც და დაინტერესდა თუ ვინ იყვნენ გამოკითხული დამსაქმებლები, რადგან საუბარი უმეტესად იყო საჭიროებებზე, მათ სექტორებზე და სხვა.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორმა, იოსებ ჩიკვაიძემ, უცხო ენის სწავლებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მათთან არის საფაკულტეტო საგნებში და მათი სტუდენტები ძირითადად ინგლისური ენის კურსს გადიან. მათ წინა პროგრამაში ჰქონდათ მცდელობა ჩაესვათ მესამე და მეოთხე სემესტრში შემდეგი ნაწილები თავისუფალი არჩევითი საგნების ნუსხიდან, მაგრამ არ გაამართლა, რადგან არ იყო წინსვლა ამ თვალსაზრისით, შესაბამისად საბაკალავრო სასწავლო კურსზე ძირითადი ლიტერატურა აქვთ ქართულენოვანი

და სადაც არის ინგლისური ლიტერატურა იქ ხელმძღვანელები „რიდერების“ მეშვეობით აწვდიან ინფორმაციას, თუმცა საკმაოდ დიდი დოზით შეიტანეს უცხო ენა სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამებში, სადაც, მაგ., დოქტორანტურაზე დაშვების წინაპირობა უცხო ენის B2 დონეა.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა, თამარ ჭელიძემ, განმარტა, რომ სტუდენტები ძირითადად ინგლისურს ირჩევენ, რადგან მისაღებ გამოცდაზეც ყველაზე დიდი რაოდენობით ბარდება, თვითონ პროგრამა ითვალისწინებს B1.1-სა და B1.2-ს, ანუ ეს არის ინგლისური, ფრანგული და გერმანული, სტუდენტების განთავსება ხდება ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, თუმცა იშვიათი გამონაკლისის სახით, იწყებენ A1-დან, მაგალითად სტუდენტი არის გერმანულად მოლაპარაკე და მას უნდა, რომ ინგლისური ისწავლოს, ამ შემთხვევაში იწყებენ A1-დან, თუმცა ამ შემთხვევაში დაწესებულება აძლევს რეკომენდაციას, რომ თავისუფალი კრედიტების ხარჯზე გაიაროს უცხო ენა და გადავიდეს B დონეზე, ბაკალავრიატის პროგრამა არ ითვალისწინებს ინგლისურენოვან პროგრამას, კარგია თუ იცის, მაგრამ აუცილებელი/გარდაუვალი არ არის.

„აკადემიური წერის“ შესახებ მან განაცხადა, რომ ძალიან ბევრ საგანს აქვს სემინარული მეცადინეობა, სადაც ჩაშენებულია რეფერატები, შესაბამისად ძირითადად ამ დროს ხდება ჩამოყალიბება, თვითონ სემინარისა და პრეზენტაციის მომზადების დროს, რადგან ეს ხდება სისტემატიურად და სწორედ ამ სისტემატიურობის ასეთი ეფექტი, რომ ეს არის ნელ-ნელა განვითარებადი კომპეტენცია, თუმცა თუ სტუდენტს აქვს „აკადემიური წერის“ არჩევის სურვილი თავისუფალი კრედიტები აძლევს ამის საშუალებას.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, დასძინა, რომ სიცხადისთვის უკეთესი იქნება გეგმაში დაზუსტდეს თუ რომელი უცხო ენები ისწავლება.

საბჭოს წევრი, დიანა მჭედლიძე, მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს, მან განაცხადა, რომ მას ჰქონდა კითხვები რჩევებთან დაკავშირებით, რადგან ისინი უკავშირდებოდა პირდაპირ აკრედიტაციის სტანდარტებს, 1.1 კომპონენტში გაწერილ რჩევასთან (სასურველია, გადაიხედოს პროგრამის მიზნების შესაბამისობა, უნივერსიტეტის მისიის ორ პრინციპთან) დაკავშირებით ექსპერტს სთხოვა მეტი სიცხადე მოეფინა აღნიშნული საკითხისადმი, თუ რატომ არის რჩევა და არა რეკომენდაცია.

1.2 კომპონენტთან მიმართებით გაცემული რჩევის (სასურველია, სწავლის შედეგების რუკის გადახედვა, იმ მიზნით, რომ გათვალისწინებული იყოს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსების მიმართება სწავლის შედეგებთან) შესახებ, საბჭოს წევრის მოსაზრებით ნაგულისხმევია, რომ მხოლოდ ძირითადი სასწავლო კურსები არის და არა არჩევითი, რაც ასე უნდა იყოს და სთხოვა დაეზუსტებინათ ინფორმაცია აღნიშნული რჩევის შესახებ.

2.4 კომპონენტთან დაკავშირებით გაცემული რჩევის (სასურველია, სწავლის შედეგების რუკის გადახედვა, იმ მიზნით, რომ გათვალისწინებული იყოს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსების მიმართება სწავლის შედეგებთან) შესახებ, განმარტა, რომ აღნიშნული არის აკრედიტაციის სტანდარტების ერთ-ერთი კრიტერიუმი და შესაბამისად თუ ეს პრაქტიკასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებში არ ფიგურირებს ბუნებრივია, უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტთან კავშირის გამო, სთხოვა განემარტათ როგორი სიტუაცია იყო, არცერთ ხელშეკრულებაში არ იყო, ძველ ხელშეკრულებებში არ იყო და ახლებში ეწერა აღნიშნული კრიტერიუმები.

სწავლის შედეგების ფორმირებასთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ როგორც პროგრამაში, ასევე სასწავლო კურსების სილაბუსებში უმჯობესია მათი აქტიური ზმნებით გამოხატვა, რათა გაადვილდეს გაზომვადობის პროცესი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორმა დასძინა, რომ საბჭოს წევრის კითხვები ძირითადად ეხებოდა რჩევებს, მან განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა გულდასმითა და ყურადღებით წაიკითხეს აღნიშნული რჩევები და მადლობა გადაუხადეს ექსპერტთა ჯგუფს, რადგან ყველა რჩევა იყო მნიშვნელოვანი. იყო

ერთ-ერთი რჩევა (სასურველია, გადაიხედოს პროგრამის მიზნების შესაბამისობა, უნივერსიტეტის მისიის ორ პრინციპთან), მისი მოსაზრებით ნამდვილად იყო შესაბამისი მეორე მიზანი - უნივერსიტეტის მეორე მისიასთან და პირველ მისიაში არის დასაზუსტებელი საკითხი, რაც ძალიან მალე დაზუსტდება.

რუკის გადახედვასთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ გადახედეს და ჩაასწორეს ყველა ხარვეზი.

2.2 კომპონენტში გაცემულ რჩევასთან (სასურველია პროგრამას დაემატოს არჩევითი სასწავლო კურსი „ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია“) დაკავშირებით მან განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხს განიხილავენ და მისი მოსაზრებით დაემატება შესაბამისსასწავლო კურსი.

2.3 კომპონენტში გაცემული პირველი რჩევის (სასურველია, დაზუსტდეს უცხო ენის შესაბამის დონეზე დამკვეთის და შემდეგ დონეზე გადასვლის პირობები) შესახებ მან აღნიშნა, რომ გადახედავდნენ და დააზუსტებდნენ მოცემულ საკითხს.

2.3 კომპონენტში გაცემულ მეორე რჩევასთან (სასურველია, განახლდეს სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა, განსაკუთრებით ლაბორატორიული მეცადინეობებისათვის საჭირო ქართულენოვანი ლიტერატურა და უზრუნველყოფილი იქნას მათი განთავსება ბიბლიოთეკაში) დაკავშირებით განაცხადა, რომ ეს უწყვეტი მომენტია, ყოველწლიურად ახლდება და ახალ-ახალი ამოცანები იქმნება ლაბორატორიული მუშაობებისათვის, ზოგიერთი ნაწილი ხელნაწერის სახით მიეცემა სტუდენტებს და შემდეგ შეძლებისდაგვარად ბეჭდავენ უნივერსიტეტის გამომცემლობაში.

2.4 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციის (სასურველია, განახლდეს უნივერსიტეტსა და პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციებს შორის ხელშეკრულებები, სტუდენტთა რაოდენობის, პრაქტიკის მიზნისა და ხანგრძლივობის მითითებით) შესახებ განმარტა, რომ ყველა საწარმოსთან ჰქონდათ მემორანდუმი, ზოგიერთ მათგანს გაუვიდა ვადა, თუმცა უნივერსიტეტის ადმინისტრაცია განაახლებს, რადგან პრაქტიკაზე მიღება ხდება მემორანდუმის საფუძველზე.

2.6 კომპონენტთან გაცემული პირველი რეკომენდაციის (სასურველია, გადაიხედოს და მკაფიოდ ჩამოყალიბდეს „საწარმოო პრაქტიკის“ შეფასების კრიტერიუმები და ქულათა გრადაცია, გაიზარდოს პრაქტიკის ობიექტზე აქტივობის წილი და დასკვნით შეფასებაზე დამკვეთის პირობა) შესახებ მან აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები გეგმავდნენ აღნიშნული რჩევის გათვალისწინებას.

2.6 კომპონენტთან გაცემული მეორე რეკომენდაციის (სასურველია, საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კომპონენტებთან ერთად განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმებიც) შესახებ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორმა განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები გეგმავდნენ აღნიშნული რჩევის გათვალისწინებას.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, რამაზ ხომერიკმა, განაცხადა, რომ მას სურდა ესაუბრა დაფინანსებასა და იმ რეკომენდაციებზე, რომლებიც ამ საკითხს ეხებოდა, რეკომენდაციები იყო ლაბორატორიული საათების გაზრდასთან და „საბაკალავრო ნაშრომის“ სავალდებულო სასწავლო კურსად გადატანასთან დაკავშირებით, მისი მოსაზრებით აღნიშნული რეკომენდაციების გაზიარება დამაზიანებელი იქნება ინსტიტუციისთვის, რადგან ეს ეხებოდა ფინანსურ საკითხებს, რომელიც მათზე არ არის დამოკიდებული, რადგან სახელმწიფო უნივერსიტეტია, კარგი იქნებოდა ექსპერტთა ჯგუფს, რომ მიეწოდებინა შესაძლო ვარიანტი თუ საიდან შეიძლება მოეძიებინა უნივერსიტეტს თანხები ლაბორატორიული სამუშაოს გაზრდისთვის, მან დასძინა, რომ შეეძლოთ ლაბორატორიული საათების გაზრდა აღნიშნული დაფინანსების გადანაწილების პირობებში, თუმცა დაიკარგებოდა ხარისხი და იქნებოდა უარყოფითი შედეგი, ისევე, როგორც „საბაკალავრო ნაშრომის“ სავალდებულო საგნად გადაქცევა, რაც მოითხოვს დიდ ხარჯებს, როგორც ქიმიკატების, ასევე ხელსაწყო-დანადგარების სახით, რომლის განხორციელებაც ფაკულტეტს ამ ეტაპზე არ შეუძლია და შესაბამისად ზემოაღნიშნულების რეკომენდაციად დატოვება სრულიად დამაზიანებლად მიაჩნიათ, რადგან მათ გამოსწორებას ვერ შეძლებენ. მან

დასძინა, რომ ქიმია ყველაზე ხარჯიანი პროგრამაა მათ ფაკულტეტზე, გააკეთეს ინგლისურენოვანი ანალოგი აღნიშნული პროგრამის, აპირებდნენ უცხოენოვანი სტუდენტების მიღებას და ლაბორატორიული საათების ზრდის, ხელსაწყო-დანადგარების უფრო მეტი შესყიდვის დაბალანსებას. დაწესებულების წარმომადგენლებს ესმოდათ, რომ უნდა გაზრდილიყო ლაბორატორიული საათები, საჭიროა გეგმა, პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია, თუმცა დაიწყო პანდემია და როდის გამოსწორდება სიტუაცია უცნობია.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა, თამარ ჭელიძემ, შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მეცამეტე დანართში წარდგენილია 4 დამსაქმებლის გამოკითხვა, დანარჩენი, რომელიც საბჭომ ნახა არის ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებული საერთო საუნივერსიტეტო გამოკითხვა, ეხება მთელი უნივერსიტეტის დამსაქმებლებს, პროგრამის ბაზრის კვლევა კი საკმაოდ მოკრძალებულია, რადგან მეტი ვერ შეძლეს, 4 თუ 5 დამსაქმებელზე იყო საუბარი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა დაეკონკრეტებინათ დამსაქმებელთა ვინაობა.

ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ერთ იყო ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი..

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორმა განმარტა, რომ ძირითადი დამსაქმებელი არის ავერსის ლაბორატორიები, სტაბილური იზოტოპების ინსტიტუტი, კიბერნეტიკის ინსტიტუტი, რძის მრეწველობა, წყლის კომპანია (GWP).

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრების კითხვებზე საპასუხოდ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ინგა ბოჭოიძე, გამოეხმაურა უცხო ენასთან დაკავშირებულ საკითხს, რომელთან მიმართებითაც ექსპერტთა ჯგუფს გაცემული ჰქონდა რჩევა შესაბამის დონეზე გადასვლის საკითხთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულებამ უკვე გასცა პასუხი. მიზნების უნივერსიტეტის მისიასთან შესაბამისობის საკითხთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ მისიასთან შესაბამისია პროგრამის მიზნები, უბრალოდ თვითმეფასების ანგარიშში წარმოდგენილია ცხრილის სახით და მითითებულია, რომ კონკრეტული მიზნის კონკრეტულ მისიასთან შესაბამისობის საკითხი, სადაც იყო ის, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობის უზრუნველყოფასთან შესაბამისობის საკითხი და სწორედ ამას უკავშირდებოდა აღნიშნული რჩევა, ვინაიდან კონკრეტული პროგრამის ფარგლებში აღნიშნულის მიღწევა შეუძლებელია და შესაბამისად მხოლოდ ამ ორ პრინციპთან მიმართებით იყო აქცენტი გაკეთებული, ასევე საუბარი იყო ახალი ცოდნის შექმნის შესახებ შესაბამისობასა და საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ახალი ცოდნის შექმნასთან დაკავშირებით. რაც შეეხება რუკის გადახედვის საკითხს ეს გამომდინარეობს იმ საფაკულტეტო სასწავლო კურსებისგან, მაგ., „ქიმიის შესავალი“, ვინაიდან იგივე „ზოგადი ქიმიის“ წინაპირობაა და არის ზოგადი სასწავლო კურსების ერთ-ერთი კურსი, რომ მოხვედრილიყო რუკაში, რომელიც საკმაოდ კარგად ჰქონდა დაწესებულებას წარმოდგენილი როგორც ძირითადი საფაკულტეტო სასწავლო კურსები, რომლებიც არიან სფეროსთან კავშირში. მისი თქმით პრაქტიკასთან მიმართებით სახელმწიფო უნივერსიტეტს ერთ-ერთი ძირითადი ბაზა აქვს მათთან არსებული კვლევითი დაწესებულებები, ასევე არის ზოგიერთ საწარმოსთან მოქმედი ხელშეკრულება, ზოგიერთთან არის გასული ვადა, თუმცა აღნიშნული კომპანიის წარმომადგენლებთან ჰქონდათ საუბარი და მათ დაადასტურეს თანამშრომლობის განგრძობითობა, შესაბამისად წარდგენილი იყო მიმართვები ორგანიზაციებთან და მათგან თანხმობის წერილები, შესაბამისად სტუდენტთა რაოდენობის მითითება და მათთან ხელშეკრულების გაგრძელებასთან მიმართებაში იყო რჩევა.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიძემ, სთხოვა დაეკონკრეტებინა უკვე იყო თუ არა აღნიშნული პრაქტიკა ხელშეკრულებებში, დაინტერესდა თუ რატომ გაჩნდა აღნიშნული რჩევა, რადგან ადრე ეს მოთხოვნები არ არსებობდა, ახალ გაფორმებულ ხელშეკრულებებში უკვე გაჩნდა თუ არა, მისთვის გაუგებარია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ვადის გაახლებასთან დაკავშირებით გაჩნდა აღნიშნული რჩევა, ზოგიერთ ხელშეკრულებას გასული აქვს ვადა, რომელთანაც პროგრამა თანამშრომლობს და საუბარია ვადის გაგრძელებასა და რაოდენობის დაკონკრეტებაზე, რადგან იგივე, გარემოს სააგენტოს ლაბორატორიაზე საუბრისას, მემორანდუმია გარემოს დაცვის სამინისტროსთან რომლის ვადაც არის, თუმცა ხელშეკრულების ფარგლებში ძალიან მნიშვნელოვანია რომ მითითებული იყოს რაოდენობები და კონკრეტული რეკვიზიტი.

საბჭოს თავმჯდომარის თქმით სამართლებრივად ამოწურული ვადა ნიშნავს, რომ ძალა არ აქვს იმ ხელშეკრულებას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ არსებული ხელშეკრულებებით, რომელთაც ჰქონდათ მოქმედი ვადა, პრაქტიკის განხორციელებას არ ექმნება საფრთხე, ამიტომ იყო რჩევაში. აქტიური ზმნების გამოყენებასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ რეკომენდაციაში ვერ იქნებოდა აღნიშნული, რადგან სტანდარტთან მიმართებაში ასეთი ფორმულირებით არაფერი არ ირღვევა, ეს იყო დაწესებულებისა და პროგრამის გადასაწყვეტი, თუმცა ის, რომ ამ შემთხვევაში ჩამოყალიბებული სწავლის შედეგი აძლევდა იმ სურათს, თუ რა შედეგზე გადიოდა სტუდენტი, თუმცა შეიძლებოდა რჩევის მიცემა და არა რეკომენდაციის, რადგან სტუდენტისთვის გასაგებია თუ რა შედეგზე გავა.

ლაბორატორიასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ რეკომენდაცია ეხებოდა კონკრეტული სასწავლო კურსის კონკრეტულ ლაბორატორიებს, რომელიც გაწერილი საათების მიხედვით იქნებოდა რთული, რადგან რამდენიმე სინთეზი იყო, მაგ., ორი სახის, საკითხი ეხებოდა „ორგანულ ქიმია 2-ს“, „ანალიზურ ქიმია 1-სა“ და „ანალიზურ ქიმია 2-ს“ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რადგან შინაარსში გაწერილი ლაბორატორიული სამუშაოების იმ დროში განხორციელება რთული იქნებოდა.

2. მეორე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება №187, 07/11/2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11		ქიმია - 0531

	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზირი №1, თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა ნინო ინასარიძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მესამე, მოთხე, მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ინგა ბოჭოიძემ, საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

კომპონენტი 1.2

- გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა ზოგიერთ სასწავლო კურსთან მიმართებით, იმ მიზნით, რომ დაცული იყოს შესაბამისობა სასწავლო კურსების სემესტრულ განაწილებასა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონეებს შორის - აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულება ეთანხმება და შესაბამისად გაასწორებს;

კომპონენტი 2.3

- გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან - მაგ., სხვების საქმიანობასა და პასუხისმგებლობის აღება კონკრეტული ერთი სასწავლო კურსის ფარგლებში, დაწესებულების პოზიციაა, რომ რამდენიმე სასწავლო კურსის ფარგლებში შეიძლება მიიღწეს, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით ერთი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი იმ სახით უნდა იყოს ფორმულირებული, რომ მისი მიღწევა სასწავლო კურსის შინაარსით გახდეს შესაძლებელი;

კომპონენტი 2.6

- გადაიხედოს იმ სასწავლო კურსების შეფასების კრიტერიუმები, დასკვნით გამოცდაზე დაშვების პირობასთან მიმართებით, რომლებშიც გათვალისწინებულია ლაბორატორიული მეცადინეობები და განისაზღვროს ის სწავლის შედეგების უნარების კომპეტენციის მიღწევასთან შესაბამისობით, მაგ., „კეტეროციკლური ნაერთების ქიმია 1“, დაწესებულების თქმით ტექნიკური ხარვეზია და დაწესებულება გაასწორებს, იგივეა შეფასების საკითხებთან და ზღვრულ ქულასთან დაკავშირებით, აღნიშნულ საკითხს დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ.

მან განაცხადა, რომ პირველ შემთხვევაში არ აღუნიშნავს და აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ მნიშვნელოვნად იქნა განსაზღვრული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, როგორც საუკეთესო პრაქტიკა, საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო დონეზე, მათი ფუნქციების განაწილება შესაძლებელია ერთ-ერთ საუკეთესო მოდელად შეიძლება ჩაითვალოს.

საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ ქიმიის ოთხივე პროგრამაზე ხარისხის მიმართულებით ყველაფერი შესაბამისობაშია და დააზუსტა ვრცელდებოდა თუ არა მოხსენების ბოლო ნაწილი ოთხივე პროგრამაზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე განმარტა, რომ ოთხივე პროგრამაზე ასევე ვრცელდებოდა მეოთხე სტანდარტის სრული შესაბამისობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ირმა გრძელიძემ, განაცხადა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ისაუბრებდა იმ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რომელსაც დაწესებულება არ ეთანხმება. საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით, მისი თქმით, უნივერსიტეტი ღიად აცხადებს, რომ ეროვნული გამოცდების სისტემა, რომელიც ამჟამად ფუნქციონირებს, კერძოდ მესამე გამოცდის არა ქიმიის ჩაბარება, ზოგადად დარგს და პროგრამას უქმნის საფრთხეს, აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად დაწესებულებას მთელი რიგი მოლაპარაკებები აქვს სამინისტროსთან, რადგან ხედავენ სტუდენტთა ნაკადისა და კარგი შეფასებების მნიშვნელოვან შემცირებას.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა, თამარ ჭელიძემ, სწავლის შედეგების ჩამოყალიბებასთან მიმართებით, განაცხადა, რომ არ მიიღწევა ერთი კურსის ფარგლებში, რადგან იქ რამდენიმე კურსი იყო ჩამოთვლილი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორმა, იოსებ ჩიკვაიძემ, 1.2 კომპონენტთან გაცემულ რეკომენდაციასთან (გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა ზოგიერთ სასწავლო კურსთან მიმართებით, იმ მიზნით, რომ დაცული იყოს შესაბამისობა სასწავლო კურსების სემესტრულ განაწილებასა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონეებს შორის) დაკავშირებით განაცხადა, რომ დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი, რომელიც გასწორდა, პირველი სემესტრის საგანი მესამე დონეზე იყო მითითებული, რომელიც უკვე გასწორდა დაწესებულების წარმომადგენლების მიერ.

მეორე რეკომენდაციის (გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან) შესახებ მან განაცხადა, რომ „სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება“ ერთდროულად ერთი მოდულის რამდენიმე სასწავლო კურსის, რამდენიმე საგანს ეხება და ძირითადად იმ მომენტს, როდესაც მაგისტრანტი ეჩვევა აიღოს პასუხისმგებლობა ჯგუფში მუშაობის დროს სხვასთან მიმართებაში ან მასთან მიმაგრებულ ბაკალავრიატის სტუდენტთან მიმართებაში, პედაგოგის ქცევაზე ვერ იქნება პასუხისმგებელი. „ფიზიოლოგიურად აქტიურ ბუნებრივ ნაერთთა კვლევა 1“ და „ფიზიოლოგიურად აქტიურ ბუნებრივ ნაერთთა კვლევა 2“ დაკავშირებით განაცხადა, რომ „საბაკალავრო ნაშრომში“ „ორგანული ქიმია 1-სა“ და „ორგანული ქიმია 2-ის“ მიმართ ზუსტად იგივე კითხვა იყო დასმული ეს არის ლაბორატორიების საჭიროების მქონე საგანი და თითოეული ამოცანის შესრულებისას იმტკიცებს ჩვევებს და უფრო და უფრო მაღალ დონეზე ადის, ამიტომ დაწესებულებას მიაჩნია, რომ ეს არ არის დუბლირება, ეს არის განვითარება 2 სემესტრის მანძილზე ერთი და იგივე უნარების. სასწავლო კურსთან „სურნელოვან ნივთიერებათა ქიმიასთან“ მიმართებით მან ექსპერტთა ჯგუფის დასკვნიდან წაიკითხა: „ჩამოაყალიბოს დასაბუთებული დასკვნები ექსპერიმენტული და თეორიული მონაცემების საფუძველზე ანალიზის სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით“. აღნიშნულ ჩანაწერში შეიძლება გაიგონ, რომ საკუთარ ექსპერიმენტზეა საუბარი, მაგრამ დაწესებულებას არ აქვს ლაბორატორიული პრაქტიკა აღნიშნულ საგანში, შესაბამისად საკუთარ ექსპერიმენტზე არ საუბრობენ, საუბარია სიტუაციურ ამოცანებზე, როდესაც სტუდენტს შეიძლება მიეწოდოს აღწერილი ექსპერიმენტული სამუშაო და მისი შედეგები, შემდეგ კი სტუდენტმა განაზოგადოს ყველაფერი, დაწესებულების წარმომადგენლები მუდმივად ესაუბრებიან სტუდენტს, რათა სამუშაოს შესრულების დროს რაიმე გაუგებრობა არ წარმოიშვას, როგორ გაართმევდა თავს და ა.შ. მომენტებში ისეთი სიფრთხილეებზეა საუბარი რომელიც სტუდენტმა უნდა გააცნობიეროს და ეს ყველაფერი ხდება ლაბორატორიულის გარეშე სიტუაციური ამოცანის ხარჯზე.

მესამე რეკომენდაციის (პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის ლაბორატორიული მეცადინეობებისათვის განსაზღვრული საათების რაოდენობას და შეუსაბამოს ის კურსის შინაარსს) შესახებ განაცხადა, რომ მითითებულია „ორგანულ ნაერთთა სინთეზის მეთოდები“, სადაც 4 საათიან დატვირთვაში 2 საათია ლაბორატორიული და ამ მეთოდებში შერჩეულია ისეთი ამოცანები, რომელთა გადანაწილება შესაძლებელია 2-3 დღეზე, 2-3 საფეხურიანი სინთეზი, ჩაატარებს, დატოვებს და შემდეგ მეცადინეობაზე გააგრძელებს. „ჰეტეროციკლურ ნაერთთა ქიმია-1“ სილაბუსში ჯამური საათების განაწილებაში არის ტექნიკური შეცდომა, 45 საათის ნაცვლად უნდა იქნებოდეს 60 საათი, სასწავლო გეგმაში სწორადაა. 15 არის კვირების რაოდენობა.

ბოლო რეკომენდაციის (გადაიხედოს იმ სასწავლო კურსების შეფასების კრიტერიუმები, დასკვნით გამოცდაზე დაშვების პირობასთან მიმართებით, რომლებშიც გათვალისწინებულია ლაბორატორიული მეცადინეობები და განისაზღვროს ის სწავლის შედეგების უნარების კომპეტენციის მიღწევასთან შესაბამისობით) შესახებ განაცხადა, რომ გათვალისწინებული იქნა რეკომენდაცია და ყველა საგანში სადაც არის ლაბორატორიული მეცადინეობა განისაზღვრა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 25%-ის ოდენობით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი, მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს. მას სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ თუ რომელ სასწავლო კურსში უწევდათ სტუდენტებს ერთობლივი კვლევითი პროექტი/დავალების შესრულება.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფთან ჰქონდა კითხვები შემდეგ რჩევებთან დაკავშირებით:

2.1 კომპონენტთან გაცემული რჩევა - სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის B1 დონეზე ცოდნა - თვითონ პროგრამაში აღნიშნული

წინაპირობა ინგლისური ენის ცოდნის შესახებ დადგენილი არ ჰქონდა, B1-ის რჩევა რატომ გაჩნდა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან უცნობია საბჭოს წევრისთვის, რადგან ამ დონეზე ცოდნით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უშვებს, ხოლო საბაკალავრო საფეხური B2 დონეზე, ამ შემთხვევაში კი მაგისტრატურაზე რჩევაში გაჩნდა B1 დონე;

3.1 კომპონენტთან გაცემული რჩევა - სასურველია, სტუდენტების მეტი მხარდაჭერა ბიბლიოთეკაში არსებული რესურსების სარგებლობის შესახებ, მათ შორის სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს მათ აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას და კარიერულ განვითარებას - სთხოვა ნათელი მოეფინათ აღნიშნული რჩევისთვის;

3.2 კომპონენტთან გაცემული რჩევა - სასურველია, ყველა სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას, გამოყენებული იქნას თანამედროვე ლიტერატურა და ნაშრომების ხელმძღვანელებმა გაუწიონ სტუდენტებს შესაბამისი კონსულტაციები სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით - შედეგების გაზომვადობის ჩამოყალიბების შესახებ აქაც არის კითხვა, თვითონ პროგრამის სტრუქტურა შედგება 8 კონცენტრაციისგან და შედეგები არ არის დალაგებული კონცენტრაციების მიხედვით, რასაც ითხოვს ახალი ჩარჩო.

საბჭოს წევრმა, მკა კაჭარავამ, განაცხადა, რომ მასაც ჰქონდა კითხვა შედეგების ცალკე გაწერასთან დაკავშირებით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორმა განაცხადა, რომ ჯგუფური პროექტები არის ყველა კურსებში, რადგან ბოლო 2 წელია სულ რემონტში იმყოფებიან, ხშირად უწევდათ ამოცანების ჯგუფურად ჩატარება 2, 3 ან 4 სტუდენტი ერთად ატარებდა ამა თუ იმ სამუშაოს და სწორედ ამას გულისხმობს ჯგუფურ სამუშაოებში, ასევე, როდესაც მაგისტრანტი ამზადებს მის სამაგისტრო ნაშრომს, მასთან ყოველთვის არის მიმაგრებული ბაკალავრიატის ერთი ან ორი სტუდენტი, ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშაა პასუხისმგებლობა აქედან უვითარდებათ.

რჩევებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებას შეიძლება გაეთვალისწინებინა, რომ მაინორ პროგრამის სახით შეიძლება გაკეთდეს 1.2 კომპონენტზე პედაგოგიური მოდული.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა თუ ვის მიმართ იყო საბჭოს წევრის კითხვები მიმართული ექსპერტთა ჯგუფისკენ თუ დაწესებულების წარმომადგენლებისკენ.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ მისი კითხვები ექსპერტებისკენ იყო მიმართული.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორმა განაცხადა, რომ ყველა რჩევა მისაღები და სასარგებლოა.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა მიმართა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორს, დაინტერესდა თუ როგორ ასრულებს მაგისტრანტი განსახილველ პროგრამაზე სამაგისტრო სამუშაოს, რა პერიოდის გატარება უწევს ლაბორატორიაში და რამდენად არის იმის საჭიროება, რომ სამაგისტრო საფეხურზე ტარდებოდეს ლაბორატორიული მეცადინეობები.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორმა განაცხადა, რომ მაგისტრს სამაგისტრო სამუშაოს შესრულებისთვის გამოყოფილი აქვს 30 კრედიტი, ანუ ბოლო სემესტრი, დანარჩენი 120 კრედიტიდან სავალდებულო და არჩევითი საგნები, პირველი სემესტრი არის საერთო სავალდებულო საგნები, შემდეგ ორი სემესტრი აქვთ მოდულების საგნები, რომლებიც გადაფარვას 2 ან 3-3 მოდულთან, დაახლოებით 30%-ია ასეთი გადაფარვები და აქ შეტანილია ისეთი საგნები, რომელთა მეშვეობით სტუდენტი ეცნობა და იღრმავებს იმ ცოდნას, უნარებს, რომელიც ბაკალავრიატში მიიღო, მაგ. ორგანული ქიმიის მოდულში ან ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის მოდულში, მისული სტუდენტი აუცილებლად ეცნობა ორგანული სინთეზის მეთოდებს, ორგანული ანალიზის მეთოდებს, ჰეტეროციკლურ ნაერთთა ქიმიას და სხვა, ეს არის იმ ზოგადი ორგანული ქიმიის ნაერთთა კურსი, მეორე მოდულში, რომელსაც ჰქვია ორგანული ქიმია და ბუნებრივ ნაერთთა ქიმია ის იღრმავებს ამ ცოდნას და ფაქტიურად შემდეგ ერთ-ერთი ამ საგნის მიმართულებით აკეთებს თავის სამაგისტრო ნაშრომს.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განმარტა თავისი კითხვა, იგი დაინტერესდა, მაგ., როდესაც კვლევითი კომპონენტის შესასრულებლად ისედაც უცევს ლაბორატორიაში მუშაობა სტუდენტს, რამდენად არის საჭირო მაგალითად ჰეტეროციკლურ ნაერთთა ქიმიის სასწავლო კურსში ლაბორატორიული მეცადინეობის ჩატარების საჭიროება.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორმა განაცხადა, რომ ლაბორატორიაში აქვთ სწორედ ჰეტეროციკლურ ნაერთთა სინთეზის სხვადასხვა მაგალითები, რასაც ეთმობა ორი სემესტრი, შემდეგ არის 3-4 საფეხურიანი სინთეზი ჰეტეროციკლებში, რაც ორგანულ ქიმიაში ვერ მოესწრებოდა, ასეა ყველა სხვა მოდულში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ინგა ბოჭოიძემ, სწავლის შედეგების გაწერასთან მიმართებით განაცხადა, რომ ვინაიდან პროგრამა ითვალისწინებს მოდულებს და არა კონცენტრაციებს და მოდულთან მიმართებაში არ არის ვალდებულება სწავლის შედეგების ცალკე გაწერის, შესაბამისად ამ თვალსაზრისით სტანდარტთან შესაბამისობა არ არის დარღვეული და უნივერსიტეტს ჰქონდა იმის უფლება სწავლის შედეგები ერთიანობაში წარმოედგინა და ცალკეული მოდულების მიხედვით არ ყოფილიყო ჩაშლილი, თუკი კონცენტრაციები ექნებოდა და კონცენტრაციებზე გააკეთებდა აქცენტს, მაშინ სავალდებულო იქნებოდა და გაიცემოდა შესაბამისი რეკომენდაცია.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, დააზუსტა იღებს თუ არა აღნიშნული მოდულებიდან სტუდენტი ერთ-ერთს. კონცენტრაციისა თუ მოდულის დატვირთვა ისაა, რომ სტუდენტი ერთ-ერთს ირჩევს, შესაბამისად ერთი სტუდენტი ერთი მოდულით სხვა შედეგებზე გავა სხვა სტუდენტი სხვა შედეგებზე. დაინტერესდა ყველა სტუდენტი, მიუხედავად იმისა, რომელ მოდულს აირჩევს იგივე შედეგებზე გადის თუ სხვადასხვაზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ერთიდაიგივე შედეგზე გავლენ, რადგან სწავლის შედეგები ისეა ფორმულირებული, რომ ყველა მოდულს მოიცავს, ცალკე მოდულების მიხედვით ჩაშლილი არ არის.

საბჭოს წევრმა დააკონკრეტა ჰქონდა თუ არა სწავლის შედეგებს ზოგადი ფორმულირება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ფორმულირება არის იმ სახით, რომ ახალია მოდულთან მიმართებაში აღნიშნული საკითხები და ექსპერტთა ჯგუფმა ამის საჭიროება ვერ დაინახა.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორმა განმარტა, რომ შედეგებში წერია შემდეგნაირად: „სტუდენტს ამ მეცნიერებების მიმართულებით ექნება შემდეგი კომპეტენციები“ და ჩამოთვლილია ზოგადი კომპეტენციები, რომლებსაც თითოეულ ზემოთჩამოთვლილ მიმართულებაში შეიძენს, კომპეტენციების სახე ერთნაირია, ოღონდ სხვადასხვა მიმართულებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ინგა ბოჭოიძემ, დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში მათი რჩევა გამოიწვია პროგრამის სტრუქტურამ, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში ინგლისურის B2.1 დონეს, შესაბამისად თუ სტუდენტმა მანამდე გერმანული ისწავლა და ახლა უნდა აირჩიოს - B2.1 დონე ამას ეხებოდა მათი რეკომენდაცია. ანუ სტუდენტი, რომელსაც არ უსწავლია ინგლისური აირჩევდა მიმართულებას სადაც არ იყო სავალდებულო ინგლისურის არჩევა.

ლიტერატურასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ქართულ ენაზე იყო მითითებული, მაგრამ ზოგიერთი ლაბორატორიის შემთხვევაში არის ჩამონათვალი ინგლისურ და რუსულენოვანი სახელმძღვანელოები დამატებითი ლიტერატურისთვის, ექსპერტთა ჯგუფმა დასვა აღნიშნული კითხვა და დაადგინეს მიეწოდებოდა თუ არა სტუდენტს აღნიშნული ლიტერატურა ქართულ ენაზე, რაც უზრუნველყოფილია უნივერსიტეტში LMS სტუდენტთა სისტემით, ყველაფერი Moodle-ზეა განთავსებული და სასაწავლო კურსების მიხედვით ნახეს თუ როგორ მიეწოდებოდა მასალა სტუდენტებს, კონკრეტული მეთოდური ლაბორატორიის, ამიტომ იყო რჩევა, რადგან სტუდენტისთვის მიწოდება უზრუნველყოფილია, მაგრამ თუკი ბიბლიოთეკაშიც განთავსდებოდა ლიტერატურა იქნებოდა ძალიან კარგი.

3. მესამე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიური ექსპერტიზის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმიური ექსპერტიზა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება №188, 07/11/2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ქიმია - 0531
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზირი №3, თბილისი, უნივერსიტეტის II კორპუსი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა ნინო ინასარიძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მესამე, მოთხე, მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ინგა ბოჭოიძემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

კომპონენტი 2.2

- გადაიხედოს პროგრამის სასწავლო გეგმაში სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები, განისაზღვროს ის პროგრამის შინაარსის ლოგიკური თანმიმდევრობით და აისახოს შესაბამისი კურსების სილაბუსებში - დაწესებულების ინფორმაციით აღნიშნული რეკომენდაცია უკვე გათვალისწინებულია, თუმცა რეკომენდაციაში დარჩა;

კომპონენტი 2.3

- გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან;
- პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის ლაბორატორიული მეცადინეობებისათვის განსაზღვრული საათების რაოდენობას და შეუსაბამოს ის კურსის შინაარსს.

კომპონენტი 2.6

- გადაიხედოს იმ სასწავლო კურსების შეფასების კრიტერიუმები, დასკვნით გამოცდაზე დაშვების პირობასთან მიმართებით, რომლებშიც გათვალისწინებულია ლაბორატორიული მეცადინეობები და განისაზღვროს ის სწავლის შედეგების უნარების კომპეტენციის მიღწევასთან შესაბამისობით - ეს არის ნივთიერებათა ანალიზის ქრომატოგრაფი, კვლევის ოპტიკურ სტრუქტოსკოპული მეთოდი, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულება დაეთანხმა.

მისი თქმით, ასევე გამოვლინდა საუკეთესო პრაქტიკა, მაგისტრანტებთან გამოქვეყნებული სტატიები, რომლებიც ხილულია Scopus-სა და Web Of Science-ში და ბოლო 5 წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი არის 18, რაც აფიქსირებს პროგრამის მიმართებას თანამედროვე გამოწვევებთან, ადასტურებს და მისასაღმებელი პრაქტიკაა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

„ქიმიური ექსპერტიზის“ სამაგისტროს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ბეჟან ჭანკვეტაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს ძალიან საინტერესო დისკუსიებისთვის. მან განაცხადა, რომ შენიშვნები ტექნიკური ხასიათის იყო, შესაბამისად დაწესებულებამ ისინი მიიღო და გაითვალისწინებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რამდენი სამაგისტრო ნაშრომი იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხილული და რამდენად გამართულია ისინი შინაარსობრივად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით მიიღეს სია, 7 მათგანთან დაკავშირებით გააკეთეს აქცენტი, რომ ენახათ და მათგან 4 სწორედ ისეთი ნაშრომი იყო, რომელთა შედეგებიც გამოქვეყნებული იყო მაღალრეიტინგულ ჟურნალებში და იყო მაღალი დონის სამაგისტრო ნაშრომები, ერთ სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით ჰქონდათ ლიტერატურულ წყაროებთან დაკავშირებით საკითხი, რომელიც შესაბამის რჩევაში აღწერეს და იგივე სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით გააკეთეს აქცენტი.

„ქიმიური ექსპერტიზის“ სამაგისტროს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა ლიტერატურასთან დაკავშირებული არსებული პრობლემის შესახებ განაცხადა, რომ აღნიშნული ნაშრომი ეხებოდა ადიგენის რაიონის ბუნებრივ და მიწისქვეშა წყლებს, ასეთ თემატიკაზე საერთაშორისო პუბლიკაციების მოძიება საკმაოდ რთულია, რადგან ძალიან კონკრეტულ რეგიონს ეხება, რომელიც საინტერესოა საქართველოსთვის, მაგრამ საერთაშორისო თვალსაზრისით არც ისე საინტერესო/პოპულარული საკითხი გახლდათ, სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მინიმალური რაოდენობის უცხოენოვანი ლიტერატურაა მითითებული.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ შინაარსობრივ საკითხთან მიმართებაში არ ჰქონიათ შენიშვნა.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება №197, 07/11/2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიის დოქტორი

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ქიმია, 0531
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზირი №1, თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა ნინო ინასარიძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მესამე, მოთხე, მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ინგა ბოჭოიძემ, საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

კომპონენტი 2.1

- დაზუსტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა უცხო ენის კომპეტენციასთან მიმართებით და განისაზღვროს ის ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურების პირობით - რაც გამომდინარეობდა პროგრამის სპეციფიკიდან და დოქტორანტებისა და კურსდამთავრებულების მოსაზრებებიდან, რომ ინგლისურენოვანი წყაროების გარეშე წარმოუდგენელია მაღალი დონის სადოქტორო ნაშრომების დაწერა, თუმცა იყო დოქტორანტი, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა გერმანული ენა, მაგრამ შემდეგ ინგლისური ენის კომპეტენციას მიაღწია და ამ მხრივ პრობლემა არ ჰქონია;

კომპონენტი 2.3

- გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან. მათ შორის, დაკონკრეტდეს „დოქტორანტის სემინარი 1“ და „დოქტორანტის სემინარი 2“ სწავლის შედეგები - წარდგენილ პაკეტში მათი სწავლის შედეგები იყო ერთიდაიგივე, ექსპერტთა ჯგუფისთვის გასაგები იყო დაწესებულების პოზიცია თუ როგორ ვითარდებოდა აღნიშნული სემინარი და მუშაობა მასზე, თუმცა აუცილებელია ორივე შემთხვევაში დაკონკრეტდეს სწავლის შედეგები, რადგან მესამე ბრძანებიდან და კრედიტების მინიჭების წესიდან გამომდინარე, კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგიდან გამომდინარე და ერთიდაიგივე სწავლის შედეგის შემთხვევაში ვერ მოხდება კრედიტის მინიჭება, აქედან გამომდინარე გაიცა რეკომენდაცია. დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია ნათელი იყო ექსპერტთა ჯგუფისათვის, მაგრამ აუცილებელია საკითხის დაკონკრეტება. საუნივერსიტეტო საგნების სწავლის შედეგების ფორმირების შესახებ განაცხადა, რომ რამდენიმე სილაბუსში, როგორც უნარების კომპეტენციასთან მიმართებაში, ისე პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის შემთხვევაში მეორდებოდა სწავლის შედეგი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ქიმიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ბეჟან ჭანკვეტაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულება ძირითადად იზიარებდა რეკომენდაციებს, ხოლო რაც შეეხებოდა „დოქტორანტის სემინარი 1“ და „დოქტორანტის სემინარი 2“-ის გაყოფას, დაწესებულების მოსაზრებით, ორივე ნაწილს აქვს საერთო საბოლოო მიზანი და ნაცვლად ერთი 20 კრედიტიანი საგნისა, დოქტორანტს აქვს საშუალება ორ 10-10 კრედიტიანი საგნად შეასრულოს, რაც გადანაწილებულია ორ სემესტრზე, შესაბამისად სტუდენტს აქვს სხვა საგნების არჩევის საშუალებაც და აქედან გამომდინარე ორივე საგნის საბოლოო მიზანი ერთია. საუნივერსიტეტო საგნებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ რადგან საუნივერსიტეტო საგნებია, ვერც საფაკულტეტო და ვერც პროგრამულ დონეზე ვერ ეხებიან, თუმცა ფიქრობენ აღნიშნული საკითხის დახვეწას.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორმა, იოსებ ჩიკვაიძემ, განაცხადა რომ აღნიშნული სასწავლო კურსები, რომლებზეც საუბრობდნენ, საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებია და სხვა პროგრამებში გავლილი ჰქონდა აკრედიტაცია, შესაბამისად ისინი ვეღარ შეცვლიდნენ აღნიშნულ დისციპლინებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა გაეცნო თუ არა ექსპერტთა ჯგუფი სადოქტორო ნაშრომებს და სთხოვა შეეფასებინა მათი ხარისხი დარგობრივ ჭრილში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ინგა ბოჭოიძემ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სადოქტორო ნაშრომებს. მან დაადასტურა, რომ სადოქტორო ნაშრომები იყო მაღალი ხარისხის, ლიტერატურულ წყაროებთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ ყოფილა და სადოქტორო

ნაშრომების შედეგები ერთი მაინც გამოქვეყნებულია მაღალი რეიტინგის ჟურნალებში, რომლებიც ხილვადია Scopus-სა და Web Of Science-ში, შესაბამისად არ ყოფილა პრობლემა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:28

დასრულების დრო: 16:42

პირველი საკითხი:

აკრედიტაციის საბჭოს მიერ „ქიმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 2.4 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

- ა) გადაიხედოს პროგრამის შინაარსი იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს მეოთხე სწავლის შედეგის მიღწევა;
- ბ) რეკომენდირებულია, პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ჩამოაყალიბდეს მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად;
- გ) რეკომენდირებულია, სწავლის შედეგების რუკის გადახედვა, იმ მიზნით, რომ გათვალისწინებული იყოს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსების მიმართება სწავლის შედეგებთან;
- დ) გასწორდეს საფაკულტეტო სასწავლო კურსების სტატუსი, როგორც პროგრამის სასწავლო გეგმაში, ისე შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში;
- ე) გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან;
- ვ) პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა გადახედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის ლაბორატორიული მეცადინეობებისათვის განსაზღვრული საათების რაოდენობას და შეუსაბამოს ის კურსის შინაარსს;
- ზ) რეკომენდირებულია განახლდეს უნივერსიტეტსა და პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციებს შორის ხელშეკრულებები სტუდენტთა რაოდენობის, პრაქტიკის მიზნისა და ხანგრძლივობის მითითებით;

თ) გადაიხედოს იმ სასწავლო კურსების შეფასების კრიტერიუმები, დასკვნით გამოცდაზე დაშვების პირობასთან მიმართებით, რომლებშიც გათვალისწინებულია ლაბორატორიული მეცადინეობები და განისაზღვროს ის სწავლის შედეგების უნარების კომპეტენციის მიღწევასთან შესაბამისობით;

ი) რეკომენდირებულია, გადაიხედოს და მკაფიოდ ჩამოყალიბდეს „საწარმოო პრაქტიკის“ შეფასების კრიტერიუმები და ქულათა გრადაცია, გაიზარდოს პრაქტიკის ობიექტზე აქტივობის წილი და დასკვნით შეფასებაზე დაშვების პირობა;

კ) რეკომენდირებულია, საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კომპონენტებთან ერთად განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმებიც.

რჩევები:

ა) გადაიხედოს „საბაკალავრო ნაშრომის“ სტატუსი, რათა ყველა კურსდამთავრებულისთვის იყოს უზრუნველყოფილი შემდეგი სწავლის შედეგი მიღწევა: „შეუძლია ქიმიური ექსპერიმენტის ტრადიციული და ზოგიერთი უახლესი მეთოდებით კვლევითი პროექტის წინასწარ განსაზღვრული მითითებების, აგრეთვე სიტუაციური პირობების მიხედვით განხორციელება“;

ბ) სასურველია პროგრამას დაემატოს არჩევითი სასწავლო კურსი „ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია“;

გ) სასურველია, დაზუსტდეს უცხო ენის შესაბამის დონეზე დაშვების და შემდეგ დონეზე გადასვლის პირობები;

დ) სასურველია, განახლდეს სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა, განსაკუთრებით ლაბორატორიული მეცადინეობებისათვის საჭირო ქართულენოვანი ლიტერატურა და უზრუნველყოფილი იქნას მათი განთავსება ბიბლიოთეკაში

ე) სასურველია, სტუდენტების მეტი მხარდაჭერა ბიბლიოთეკაში არსებული რესურსების სარგებლობის შესახებ, მათ შორის სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს მათ აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას და კარიერულ განვითარებას;

ვ) სასურველია, გაუმჯობესდეს სტუდენტების ინფორმირების მექანიზმები სპეციალობის შესაბამისად, კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ექვსი თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეორე საკითხი:

აკრედიტაციის საბჭოს მიერ „ქიმიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე

დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 2.1 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

- ა) გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა ზოგიერთ სასწავლო კურსთან მიმართებით, იმ მიზნით, რომ დაცული იყოს შესაბამისობა სასწავლო კურსების სემესტრულ განაწილებასა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონეებს შორის;
- ბ) რეკომენდირებულია, პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ჩამოაყალიბდეს მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად.
- გ) პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად რეკომენდირებულია, განისაზღვროს პროგრამაზე დაშვების სათანადო კომპეტენციები;
- დ) რეკომენდირებულია, გადაიხედოს პროგრამაზე დაშვების მექანიზმები;
- ე) გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან;
- ვ) გადაიხედოს იმ სასწავლო კურსების შეფასების კრიტერიუმები, დასკვნით გამოცდაზე დაშვების პირობასთან მიმართებით, რომლებშიც გათვალისწინებულია ლაბორატორიული მეცადინეობები და განისაზღვროს ის სწავლის შედეგების უნარების კომპეტენციის მიღწევასთან შესაბამისობით;
- ზ) რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კომპონენტებთან ერთად განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმებიც.
- თ) რეკომენდირებულია, პროგრამის თითოეულ მოდულში სავალდებულო კომპონენტად განისაზღვროს ინგლისური ენის B2 დონის მიღწევის შესაძლებლობა.

რჩევები:

- ა) სასურველია, გადაიხედოს და დაზუსტდეს პროგრამის მიზანი, პედაგოგიურ საქმიანობასთან მიმართებით;
- ბ) სასურველია, პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა განაახლოს სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და უზრუნველყოს მისი განთავსება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში;
- გ) პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის ლაბორატორიული მეცადინეობებისათვის განსაზღვრული საათების რაოდენობას;
- დ) სასურველია, სტუდენტების მიერ ლაბორატორიულ მეცადინეობებზე დავალების ჯგუფურად შესრულების შემთხვევაში, დაზუსტდეს შეფასების კრიტერიუმები, რათა წინასწარ იყოს ცნობილი როგორ მოხდება ჯგუფის თითოეული წევრი-სტუდენტის შეფასება;
- ე) სასურველია, დაზუსტდეს სტუდენტის შეფასების შემდეგი კომპონენტი „ლექციაზე დასწრება-აქტიურობა“, პრაქტიკულ მეცადინეობაზე დასწრება-აქტიურობა“;

ვ) სასურველია, სტუდენტების მეტი მხარდაჭერა ბიბლიოთეკაში არსებული რესურსების სარგებლობის შესახებ, მათ შორის სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს მათ აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას და კარიერულ განვითარებას;

ზ) სასურველია, გაუმჯობესდეს სტუდენტების ინფორმირების მექანიზმები სპეციალობის შესაბამისად, კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ;

თ) სასურველია, ყველა სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას, გამოყენებული იქნას თანამედროვე ლიტერატურა და ნაშრომების ხელმძღვანელებმა გაუწიონ სტუდენტებს შესაბამისი კონსულტაციები სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილება:

„უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ექვსი თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მესამე საკითხი:

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო „ქიმიური ექსპერტიზის“ სამაგისტრო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 1.2 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიური ექსპერტიზის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

- ა) რეკომენდირებულია, პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად;
- ბ) გადაიხედოს პროგრამის სასწავლო გეგმაში სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები, განისაზღვროს პროგრამის შინაარსის ლოგიკური თანმიმდევრობით და აისახოს შესაბამისი კურსების სილაბუსებში;
- გ) გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსების „თანამედროვე ინსტრუმენტული ანალიზის ფიზიკურ-ქიმიური საფუძველები“, „სერტიფიცირება-აკრედიტაციის საერთაშორისო და ეროვნული ნორმატივები“ სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან;
- დ) პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა გადახედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის ლაბორატორიული მეცადინეობებისათვის განსაზღვრული საათების რაოდენობას და შეუსაბამოს ის კურსის შინაარსს;
- ე) გადაიხედოს იმ სასწავლო კურსების შეფასების კრიტერიუმები, დასკვნით გამოცდაზე დაშვების პირობასთან მიმართებით, რომლებშიც გათვალისწინებულია ლაბორატორიული მეცადინეობები და განისაზღვროს ის სწავლის შედეგების უნარების კომპეტენციის მიღწევასთან შესაბამისობით;
- ვ) რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კომპონენტებთან ერთად განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმებიც.

რჩევები:

- ა) სასურველია, პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა გადახედოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს და მისაღები გამოცდის საკითხებს;
- ბ) სასურველია, პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა გადახედოს ორი სასწავლო კურსის „ქიმიური ექსპერტიზის სამართლებრივი საფუძველები“ და „ექსპერიმენტის მათემატიკური დაგეგმვა“ სტატუსს და განსაზღვროს ის პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- გ) სასურველია, პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა განაახლოს სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და უზრუნველყოს მისი განთავსება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში;
- დ) სასურველია, სტუდენტების მიერ ლაბორატორიულ მეცადინეობებზე დავალების ჯგუფურად შესრულების შემთხვევაში, დაზუსტდეს შეფასების კრიტერიუმები, რათა წინასწარ იყოს ცნობილი როგორ მოხდება ჯგუფის თითოეული წევრი-სტუდენტის შეფასება;
- ე) სასურველია, დაზუსტდეს სტუდენტის შეფასების შემდეგი კომპონენტი „ლექციაზე დასწრება-აქტიურობა“, პრაქტიკულ მეცადინეობაზე დასწრება-აქტიურობა“;
- ვ) სასურველია, სტუდენტების მეტი მხარდაჭერა ბიბლიოთეკაში არსებული რესურსების სარგებლობის შესახებ, მათ შორის სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს მათ აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას და კარიერულ განვითარებას;
- ზ) სასურველია, გაუმჯობესდეს სტუდენტების ინფორმირების მექანიზმები სპეციალობის შესაბამისად, კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ;
- თ) სასურველია, ყველა სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას, გამოყენებული იქნას თანამედროვე ლიტერატურა და ნაშრომების ხელმძღვანელებმა გაუწიონ სტუდენტებს შესაბამისი კონსულტაციები სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის

განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიური ექსპერტიზის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ექვსი თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეოთხე საკითხი:

აკრედიტაციის საბჭოს მიერ „ქიმიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 2.2 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

- ა) დაზუსტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა უცხო ენის კომპეტენციასთან მიმართებით და განისაზღვროს ის ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურების პირობით;
- ბ) რეკომენდირებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის ”სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები” სტატუსი;
- გ) გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან. მათ შორის, დაკონკრეტდეს „დოქტორანტის სემინარი 1“ და „დოქტორანტის სემინარი 2“ სწავლის შედეგები;
- დ) რეკომენდირებულია, გასწორდეს გადაფარვები სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამის კომპეტენციებში.

რჩევები:

- ა) სასურველია, გასწორდეს ტექნიკური შეცდომა პროგრამის მიზნებში აკადემიური პერსონალის მომზადებასთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის,

მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ექვსი თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

15:47 საათზე საბჭოს შემოუერთდა თამარ ჩხეიძე.

16:42 საათზე საბჭო დატოვა ანზორ ბერიძემ

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მათემატიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28/11/2011, გადაწყვეტილება №209
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების ბაკალავრი მათემატიკაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მათემატიკა - 0541
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზირი №3, თბილისი, უნივერსიტეტის II კორპუსი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა ნინო ინასარიძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მეორე, მესამე, მოთხე, მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, რომელიც გალდავა მიესალმა საბჭოს წევრებს და სხდომაზე დამსწრე პირებს, მან განაცხადა, რომ ვიზიტი განხორციელდა 26-28 მაისს, აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით გადამოწმდა 4 პროგრამა, ინსტიტუციამ ექსპერტთა ჯგუფს მაქსიმალურად შეუწყო ხელი პროცესების განხორციელებაში, პროგრამების რაოდენობრივი თვალსაზრისით რთული პროცესები იყო, თუმცა აკადემიური პერსონალი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეზე ძირითადად მეორდებოდა, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან შეხვედრა განხორციელდა არსებული წესის მიხედვით.

საბაკალავრო პროგრამამ განიცადა ცვლილებები, თუმცა კარდინალური ცვლილებები არ მომხდარა, შეიცვალა არჩევითი მოდულებში საკითხები, რადგან ინსტიტუციამ ჩათვალა, რომ ყველა სტუდენტს შეეძლო სასურველი მიმართულების არჩევა, რაც ნამდვილად მნიშვნელოვანია საბაკალავრო დონეზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია სწავლის შედეგების რუკის კორექტირება, ვინაიდან შეუძლებელია სასწავლო კურსების თითქმის უმრავლესობაში ისეთი კომპეტენციის მიღწევა, როგორცაა „პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვა“, „პროფესიული განვითარების დაგეგმვა და პროფესიულ საქმიანობაში გააზრებული გადაწყვეტილების მიღება“. შესაბამისად, სასწავლო კურსებში გასაანალიზებელია აღნიშნული კომპეტენციების მიღწევის შესაძლებლობა შემდგომი

დაზუსტებისა და კორექტირების მიზნით - ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით საბაკალავრო დონეზე შეიძლება რომ ასე იყოს წარმოდგენილი თუმცა საჭიროებს დაზუსტებას და კორექტირებას;

2. რეკომენდებულია მერვე სემესტრის კრედიტების განაწილება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: მეორადი სპეციალობის სასწავლო კურსები - 20 კრედიტი; სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები/თავისუფალი კრედიტები - 10 კრედიტი - ბოლო სემესტრში პროგრამის საგნობრივ ჩამონათვალთან ერთად წარდგენილი ძირითადი თუ არჩევითი სასწავლო კურსების მოდულიდან უნდა მოხდეს სასწავლო კურსის არჩევა, ბოლო სემესტრში არის ჩანაწერი, რომ კრედიტების გარკვეული რაოდენობა არის მაინორ პროგრამის და უწერია, რომ 10 კრედიტი არის საბაკალავრო ნაშრომის/თავისუფალი კრედიტები, თუმცა საბაკალავრო ნაშრომი არ წარმოადგენს სავალდებულო კომპონენტს, ის არის არჩევითი კომპონენტების ნაწილში და ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით უნდა დაკონკრეტდეს არჩევითი სასწავლო კურსები, რომელიც თავისთავად საბაკალავრო ნაშრომსაც მოიცავს;

3. რეკომენდებულია „პროექტი 1-4“ სილაბუსი წინაპირობების ნაწილში მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამის სტრუქტურასთან - სასწავლო გეგმაში არ იკითხებოდა რა რისი წინაპირობა იყო, სილაბუსებშიც მხოლოდ ერთი წინაპირობა იყო ასახული და მეტი სიცხადისათვის გასცეს რეკომენდაცია, რომ გაწერილიყო უფრო გარკვევით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ომარ ფურთუხია, მიესალმა საბჭოს წევრებს და სხდომაზე დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის. მან პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებას აქვს ძალიან მძიმე ტვირთი, რადგან ისინი აგრძელებენ, მუსხელიშვილის, ვეკუას, მიქელაძის და უამრავ სხვათა სკოლას, ასევე აქვთ ბედნიერება, რომ ბევრი მათი სტუდენტი ახლა აკადემიური პერსონალია და იმის ნაცვლად, რომ რომელიმე არ მიეთითებინათ გადაწყვიტეს, რომ ნაწილ-ნაწილ, ეტაპობრივად პრაქტიკულად ყოფილიყო, ასევე გაწერილია სავალდებულო საგნების უმეტესობაში, კურსები ისეა აგებული, რომ არ არის ვერტიკალური, არამედ ჰორიზონტალურია და ასე მიდიან შედეგამდე;

მეორე რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ საბაკალავრო ნაშრომი აუცილებლად მერვე სემესტრში უნდა იყოს გაწერილი, ის არ არის გათანაბრებული თავისუფალ კრედიტებთან, დაწესებულებას შეუძლია რეკომენდაცია გასცენ სტუდენტებზე და მათ ეს იციან, მაგრამ მაინორის საგნებს ვინ როდის აიღებს ეს აღნიშნულ პროგრამაზე არ არის დამოკიდებული, მათი სტუდენტები მაინორად ძირითადად ეკონომიკას ირჩევენ და ისინი ყოველ სემესტრში 10 კრედიტზე მეტის არჩევის უფლებას არ აძლევენ, შეიძლება სტუდენტს ჰქონდეს პრობლემა, რომ რომელიმე ძირითადი საგანი თავის დროზე ვერ გაიარა და მოუწიოს ბოლო სემესტრში გავლა, ან შეიძლება საერთოდ არ აიღოს მაინორ პროფესია, თუმცა კი აქვთ გაწერილი ფორმალურად როდის რა უნდა აიღონ, პრაქტიკულად თუ სტუდენტი წინაპირობას აკმაყოფილებს შეუძლია ნებისმიერ კენტ სემესტრში ნებისმიერი კენტი სემესტრის საგანი ისწავლოს, ლუწ სემესტრში კი ლუწი სემესტრის საგნები.

მესამე რეკომენდაციის შესახებ მან განმარტა, რომ აღნიშნული პრაქტიკა დანერგილი იყო გასულ წლებში, „პროექტი 1-4“ აჩვენებს ქრონოლოგიას და მისი წინაპირობა არის, რომ სტუდენტს ათვისებული უნდა ჰქონდეს ყველა საბაზო კურსი და ამის შემდეგ შეიძლება იყოს დაშვებული „პროექტზე“, რომელზეც უშვებენ იმ შემთხვევაში თუ წინასწარ პროფესორთან შეთანხმებით დადგინდება მიაღწევს დასახულ მიზანს, თუ ვერა, თუ 10 სტუდენტი აირჩევს „პროექტი 1-ს“ ეს არის 10 სხვადასხვა პროფესორი/სტუდენტის ურთიერთობა, 10 სხვადასხვა დისციპლინა, პროფესორი ამაში არაფერს იღებს, სტუდენტი კი იღებს 5 კრედიტს. წინაპირობა არის ის, რომ სავალდებულო საგნების გარკვეული ნუსხა უნდა ჰქონდეს გავლილი, თუკი მეორე სემესტრიდან ახალი პროექტის გაკეთებას გეგმავს, შეიძლება იყოს იგივე

პროფესორთან/მიმართულებით და მას შეიძლება წინაპირობად ჰქონდეს პირველი ნაწილი, მაგრამ შეიძლება პროფესორი საერთოდ სხვა მიმართულებით წავიდეს და სულ არ დასჭირდეს პირველი პროექტის ცოდნა. ის რომ სტუდენტს პროექტის არჩევა უნდა არ ნიშნავს რომ დაიშვება, მას ეძლევა გამოსაცდელი ერთკვირიანი ვადა, სადაც ხორციელდება ინტენსიური გასაუბრება და შემოწმება, ამის შემდეგ გადაწყდება არის თუ არა სტუდენტი აღნიშნული პროექტის დამძლევი, შესაძლებელია შეიცვალოს მიმართულებაც პროფესორის რეკომენდაციიდან გამომდინარე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, დაადასტურა მისი პატივისცემა დაწესებულებისა და ექსპერტთა ჯგუფის მიმართ. მან განაცხადა, რომ არ არის დარგის სპეციალისტი და სთხოვა განმარტება გაეკეთებინათ პირველი რეკომენდაციის შესახებ.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ომარ ფურთუხიამ, დასძინა, რომ ავტონომიურობა არ არის ყველა სასწავლო კურსში, თუმცა იყო უმრავლესობაში.

საბჭოს წევრმა განმარტა, რომ ამ საკითხის ისტორიული ტრადიციით ახსნა მისთვის გაუგებარი იყო.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სხვადასხვა საკითხზე იყო საუბარი, ისტორიულად კი შეიძლება აღინიშნოს, რომ მათ ჰყავთ პროფესორი გიორგი ჯაიანი, რომელიც წარმოადგენს ნიკო მუსხელიშვილის სკოლას და ვეკუას სკოლის გამგრძელებელია, შესაბამისად მას შეუძლია ცხოვრებისეული მაგალითიც კი მოუყვანოს სტუდენტს, ანუ საუბარი იყო პროფესიულ ეთიკაზე.

საბჭოს წევრი, დიანა მჭედლიშვილი მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებს და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს. მან განაცხადა, რომ მისი კითხვები უკავშირდებოდა ექსპერტთა მიერ გაცემულ რჩევებს, პირველი რჩევა (სასურველია საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურაში ტერმინი „კონცენტრაცია“ შეიცვალოს სხვა ტერმინით) ეხება ტერმინ „კონცენტრაციას“ და საბჭოს წევრსაც ჰქონდა კითხვა კონცენტრაციებთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ სულ იყო 9 კონცენტრაცია, მათ შორის პედაგოგიკის, მათემატიკის სწავლების და თუ სტუდენტები სხვადასხვა ბლოკს ირჩევენ გადიან საერთო მიზანზე თუ ცალ-ცალკე. დაინტერესდა, თუ რატომ არ არის გამოყოფილი აღნიშნული ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

მეხუთე რეკომენდაციასთან (სასურველია, სასწავლო კურსებში გადაიხედოს სწავლა/სწავლების მეთოდები, ვინაიდან სილაბუსებში შეინიშნება გარკვეული ერთფეროვნება, რიგ შემთხვევაში აბსოლუტური მსგავსება. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანი იქნება ამ მიმართულებით გარკვეული ღონისძიებების გატარება) დაკავშირებით დაინტერესდა თუ რატომ ჩათვალა ექსპერტთა ჯგუფმა, რომ აღნიშნული რჩევაა და არა რეკომენდაცია, რადგან ის მეტად დახვეწავდა და გააუმჯობესებდა აღნიშნულ პროგრამას.

მან მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს, შესავალი კურსების არსთან დაკავშირებით, რადგან ადრინდელი პრაქტიკის თანახმად, სტუდენტები აბარებდნენ, გადიოდნენ შესავალ კურსებს და შემდეგ ირჩევდნენ სხვადასხვა დისციპლინებს, რადგან არ იცოდნენ რა სურდათ. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რატომ დატოვეს ასეთი მიდგომა, რა სარგებელი ჰქონდა აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით.

საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს. დაინტერესდა თუ რა აჩვენა წინა სააკრედიტაციო პერიოდმა საბაკალავრო ნაშრომთან მიმართებით, რადგან ზოგადად უნივერსიტეტში საბაკალავრო ნაშრომს არჩევითი სტატუსი აქვს.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ომარ ფურთუხიამ, დასძინა, რომ სხვადასხვა მიმართულებით განსხვავებული მიდგომებია.

საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა, დაინტერესდა თუ რამდენი სტუდენტი ირჩევდა პროცენტულად, უფრო მეტად ირჩევდნენ თავისუფალ კრედიტს თუ საბაკალავრო ნაშრომს, რადგან რეაკრედიტაციისას ისევ არჩევით სასწავლო კურსად დატოვებს, ანუ იმდენად მნიშვნელოვანი არ არის.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროგრამული ბიუჯეტი დეტალურად არის წარმოდგენილი, შრომის ბაზართან დაკავშირებით კი წარმოდგენილია 164 რესპოდენტის გამოკითხვა, რა უნარები და საერთოდ რა სურს დამსაქმებელს, ცალკე კითხვარია დამსაქმებელისა და კურსდამთავრებულების კმაყოფილების, მაგრამ მან ვერსად ნახა კონკრეტულად მათემატიკის პროგრამასთან დაკავშირებული კვლევა, წარდგენილია მხოლოდ გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის წერილი.

საბჭოს წევრი, გაიოზ ფარცხალაძე, მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებს და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს. მან განაცხადა, რომ გადახედა „თეორიული მექანიკის“ სილაბუსს, რომელსაც წინაპირობად გაწერილი აქვს „წრფივი ალგებრა“ და კალაკულუსი I, მაგრამ „თეორიული მექანიკაში“ განხილულია ყველა საკითხი დინამიკის ჩათვლით, სადაც საჭიროა დიდგანტოლებები. წინაპირობებში დიდგანტოლებები არ არის განხილული, დაინტერესდა რაიმე შეცდომა ხომ არ იყო წინაპირობასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რომეო გალდავამ, განაცხადა, რომ სიტყვა „კონცენტრაციის“ გამოყენება სწორედ იმიტომ ურჩია ინსტიტუციას, რომ ეს არის საგნების ჯგუფი, ანალიზის საგნები და ა.შ., რაც მთავარია ამ კონცენტრაციებიდან სტუდენტს შეუძლია არ აირჩიოს არც ერთი კონცენტრაციიდან საგნები, ანუ თვითონ განსაზღვრავს არჩევითი საგნების პროფილს, შესაბამისად ისინი პროფილზე ორიენტირებული არ არის, ეს არის დამატებითი საგნები, რომლებიც სტუდენტს გაუფართოებს არეალს მისი შეხედულების მიხედვით.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიძემ განაცხადა, რომ ანუ, სტუდენტს შეუძლია საგნების ნაწილი ერთი კონცენტრაციიდან აიღოს, ნაწილი მეორედან და არ აქვს ვალდებულება მთლიანი ჯგუფის აღების.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ეს იყო რჩევა, რადგან „კონცენტრაცია“ სხვა რამის ასოციაციას იწვევს. სწავლებისა და შეფასების მეთოდების ერთფეროვნებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მისაღები იყო, რადგან შესაძლებელია ეს მიმართულება ჩამოყალიბდა და ამ მიმართულებით დაჯგუფებულია, აღნიშნული შედეგზე გადის, თუმცა დამატებითი ელემენტები თუ შემოვა სწავლა-სწავლებისა და შეფასების ურიგო არ იქნება, რაც შედეგზე არანაირად აისახება, უბრალოდ მისი რჩევაა, რომ გააფართოვონ და გამოიყენონ სხვადასხვა მეთოდები.

ექსპერტმა, ირმა ქურდაძემ განაცხადა, რომ იმ მოცემულობაში რაც დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა აბსოლუტურად მისაღწევია ის მიზანი და შედეგები, შესაბამისად უფრო მეტი მრავალფეროვნებისთვის გასცეს რჩევის სახით. პასუხისმგებლობებისა და ავტონომიურობის ნაწილზე მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა იგულისხმა, რომ კიდევ უფრო კარგად გახდეს ცხადი, მნიშვნელოვანია მოხდეს გაზომვა, შესაბამისად მისცეს რეკომენდაცია იმ ნაწილში, რომ ეს კარგი იქნება იმ სილაბუსებში, რომლებშიც არის პრაქტიკული კომპონენტი, ანუ ველზე გასვლის შემთხვევაში იყოს გაზომვადი და რელევანტური იმ კურსთან მიმართებით. 2019 წელს კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოში შევიდა ეს ცვლილება და ძალიან მნიშვნელოვანია, შესაბამისად გამოტანილ იქნა რეკომენდაციად. ამავე დროს ძალიან დიდი პატივს სცემს პროგრამის გუნდს, დაინახეს ძალიან დიდი მათემატიკური სკოლა და არაჩვეულებრივი დოქტორები.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ომარ ფურთუხიამ, განაცხადა, რომ ეს არის საწყისი კურსი „წრფივი ალგებრისა“ მითითებული იყო „ფიზიკაც“, იმის შემდეგ, რაც დიდგანტოლებებს გაივლიან არის არჩევითი კურსი აღნიშნული მიმართულებით. დაწესებულებას პროგრამაში უწერია კონცენტრაციები, თუმცა ეს არის ბლოკები, მექანიკის ბლოკი, ალბათობის ბლოკი, მასწავლებლის ბლოკი და ა.შ. სტუდენტმა შეიძლება თითო

ბლოკიდან თითო სასწავლო კურსი აიღოს, ან რომელიმე ბლოკი მთლიანად გამოტოვოს, ამიტომ წერია კონცენტრაცია, თუმცა აღებული ერთი საგნიდან გამომდინარე შედეგზე ვერ გავა. არის ზოგადად სწავლის შედეგები, მეთოდები და ა.შ., ასევე არის სპეციფიური, მაგრამ მათემატიკის სხვადასხვა სფეროში ძალიან დიდი თანაკვეთაა, ამიტომ ჩანს, რომ ერთიდაიგივეა, თუმცა განსხვავებები არის. რაც შეეხება საბაკალავრო ნაშრომს არ არის აუცილებელი, საბაკალავრო ნაშრომს ირჩევს დაახლოებით იმდენი სტუდენტი, რამდენიც შემდეგ აბარებს მაგისტრატურაში, 10-15%, წელს მაგალითად მხოლოდ 3-5 საბაკალავრო ნაშრომი კეთდება, საბაკალავრო ნაშრომს ვერ აიღებს ნებისმიერი სტუდენტი, რადგან მაღალი სტანდარტებია და აუცილებლად კვლევითი უნდა იყოს და ვისაც ამ სტანდარტების დაკმაყოფილება შეუძლია ურჩევნია 2 ახალი საგანი ისწავლოს ვიდრე გაიაროს საბაკალავრო ნაშრომი.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, განაცხადა, რომ ბაკალავრი უნდა გავიდეს პრაქტიკულ უნარებზე ან უნდა გამოუმუშავდეს კვლევითი უნარები, ერთ-ერთი მათგანი მაინც უნდა გამოუმუშავდეს, შესაბამისად ვინაიდან არ არის საბაკალავრო ნაშრომი სავალდებულო, როგორ დასტურდება აღნიშნულ კომპეტენციაზე გასვლა, რაიმე პრაქტიკული ხასიათის ნაშრომი/რეფერატი ხომ არ მუშავდება, რომლითაც დასტურდება საფეხურის მოთხოვნა.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ძველი პროგრამისგან განსხვავებით, სადაც ჰქონდათ 50:70-ზე სავალდებულო და არჩევითი დისციპლინები, ახლა აქვთ 100:30 სავალდებულო და არჩევითი დისციპლინები, ანუ სავალდებულოების რაოდენობა გაზრდილია, საბაკალავრო ნაშრომი სინამდვილეში არჩევითია და სტუდენტს ევალება ყველა ბლოკიდან ჰქონდეს ერთი არჩევითი საგანი მაინც, შესაბამისად ის საბაკალავრო ნაშრომით გავა შედეგზე, თუ არჩევითი სხვა სასწავლო კურსით დაახლოებით ერთიდაიგივეა.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ირმა გრძელიძემ, საფაკულტეტო საგნებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამა ისეა აგებული, რომ საფაკულტეტო საგნები მნიშვნელოვანია სხვადასხვა მიზეზის გამო, დაწესებულებას აქვს როგორც პროგრამული, ისევე საფაკულტეტო მიღება, ანუ გამოცხადების დროს ასევე იღებენ საფაკულტეტო მიღებაზე, რომელიც ძალიან კარგი შესაძლებლობაა შემდეგ სტუდენტებისთვის აიღონ კონკრეტული მიმართულება. მისი თქმით, დაწესებულებამ ძალიან წაახალისა ამ მიმართულებაზე და ზოგადად საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულებაზე, ე.წ. General Education Forces, რომელიც არის Abet-ირებული ყველა იმ პროგრამაში, რომელიც სან დიეგოსთან ერთად ხორციელდებოდა და Abet-მა ჩათვალა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკა, ამიტომ მისი მოსაზრებით გააგრძელებენ აღნიშნული პროცესის შენარჩუნებას.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა დასძინა, რომ ამჟამად არიან სახელმწიფო პროგრამაზე, თუმცა ეს დიდხანს ვერ გაგრძელდება, რადგან ქვეყანას არ აქვს ამის რესურსები და როდესაც არ ჰქონდათ სახელმწიფო დაფინანსება მათემატიკა უკეთეს პირობებში იყო, 700 სტუდენტიდან, რომელიც შემოდიოდა ფაკულტეტზე, 180 აფიქსირებდა მათემატიკას და იქიდან უკეთეს 100-ს არჩევდნენ ვიდრე ახლა მიდის, ამ შემთხვევაში კი არის სხვადასხვა შესავლები, თუმცა მათემატიკოსს ურჩევს, რომ აიღოს ისეთი, რომელიც შემდეგ სავალდებულოა, „წრფივი ალგებრა“ კი შესავალში წერია, ამ დროს ფიზიკოსი ურჩევს, რომ ისწავლოს, ამ დროს მათემატიკოსს ურჩევს, რომ „ფიზიკის შესავალი“ ან „ელექტრონიკის შესავალი“ ისწავლოს.

6. მეექვსე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ
1	მათემატიკა

	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11/07/2011, გადაწყვეტილება №179
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების მაგისტრი მათემატიკაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მათემატიკა - 0541
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტის ქ. №13, თბილისი, უნივერსიტეტის XI კორპუსი, 0177, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

7. მეშვიდე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გამოყენებითი მათემატიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11/07/2011, გადაწყვეტილება №180
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა

7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების მაგისტრი გამოყენებით მათემატიკაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მათემატიკა - 0541
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტის ქ. №13, თბილისი, უნივერსიტეტის XI კორპუსი, 0177, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა ნინო ინასარიძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე და მეშვიდე საკითხების ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მეორე, მესამე, მოთხე, მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რომეო გალდავამ, განაცხადა, რომ უნივერსიტეტში მათემატიკის მიმართულებით იყო ორი სამაგისტრო პროგრამა: წმინდა მათემატიკა და გამოყენებითი მათემატიკა, ამ პროგრამებთან მიმართებაში მან განმარტა, რომ ადრე არსებული პროგრამები ფაქტობრივად იმეორებდა გარკვეულ სასწავლო კურსებს დაწყებით სემესტრებში და ამ პერიოდში მოხდა კარდინალური ცვლილება, გამოყენებითი მათემატიკა წავიდა უფრო გამოყენებითი დარგისაკენ, აკადემიური პერსონალი ფაქტობრივად იგივეა, არის ძალიან ბევრი ერთნაირი სასწავლო კურსი და ექსპერტთა ჯგუფმა დაინახა ერთიანი ხაზი, შესაბამისად რეკომენდაციები გასცეს აბსოლუტურად იდენტური. გენერალური ხაზი ყველა პროგრამაში ჩანს ბაკალავრიატიდან დოქტორანტურამდე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია სწავლის შედეგების რუკის კორექტირება, ვინაიდან შეუძლებელია სასწავლო კურსების თითქმის უმრავლესობაში ისეთი კომპეტენციის მიღწევა, როგორცაა „პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვა“, „ღირებულებების და მიდგომების დამოუკიდებლად შეფასება“. შესაბამისად, სასწავლო კურსებში გასაანალიზებელია აღნიშნული კომპეტენციების მიღწევის შესაძლებლობა შემდგომი დაზუსტებისა და კორექტირების მიზნით;
2. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესების დაცვა უნივერსიტეტში/ფაკულტეტზე მოქმედი რეგულაციების შესაბამისად - ექსპერტთა ჯგუფმა ნახა ნაშრომები, სადაც შეამჩნიეს გარკვეული ხარვეზები, არ იყო დაცული ერთიანი სტილი, ის ნაწილები, რაც უნდა ჰქონოდა სამაგისტრო ნაშრომს, ნაღომების ნაწილში არ იყო დასკვნა, ველი იყო დარღვეული, რაც ინსტიტუციას აქვს შემუშავებული ის სტილი არ იყო დაცული. არ არის საუბარი სამეცნიერო ღირებულებაზე, მაგრამ გაიცა რეკომენდაცია, რომ მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, ითქვას, რომ ეს იყო დაკაზმდონების შეცდომა, თუმცა მისი მოსაზრებით მეტი ყურადღება სჭირდება აღნიშნული ნაშრომებს ერთიან ფორმაში მოყვანას;
3. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმება გახდეს სავალდებულო - სადოქტორო პროგრამაზე არსებობს ვალდებულება პლაგიატზე შემოწმებისა, სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით კი არ თვლიან საჭიროებისამებრ გატარდეს ზოგიერთი სამაგისტრო პროგრამა პლაგიატზე, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ აღნიშნული პროგრამები ფორმულებსა და სიღრმეებში ვერ შედის, ვერ ახდენს იდენტიფიცირებას, მაგრამ გარდა ამისა, ნაშრომში არის დასკვნითი ნაწილი, შესავალი და მიმოხილვა, ტექსტობრივი ნაწილი, რაც აუცილებლად უნდა შემოწმდეს პლაგიატზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია „მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ომარ ფურთუხიამ, განაცხადა, რომ ამჟამად იყო მიმართულება, მომხდარიყო აღნიშნული ორი პროგრამის გამიჯვნა დაფინანსების ეკონომიის მიზნით, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტია არ აქვს საბაზო დაფინანსება, პირველ სემესტრში ყველა სავალდებულო კურსი ორივე მიმართულებაზე ეკითხებოდა ერთიდაიგივე დისციპლინები. ამ შემთხვევაში გადაწყვიტეს, რომ გამოესწორობინათ მდგომარეობა და სავალდებულო კურსი „მათემატიკის“ მიმართულებით სხვა არის და „გამოყენებითი მათემატიკის“ სხვა, თუმცა „გამოყენებითი მათემატიკა“ ისევ მათემატიკის გამოყენებაა მეცნიერებაში და არა წარმოებაში, არის გარკვეული თანაკვეთა, რათა სტუდენტს ჰქონდეს საშუალება ორივე პროგრამიდან აირჩიონ საგნები.

„მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, თეიმურაზ ახოზაძემ, რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხებოდა ნაშრომის გაფორმებას განაცხადა, რომ დაწესებულება დაეთანხმა და მაქსიმალურად ეცდებიან აღმოფხვრან ის

ხარვეზები რაც აქამდე ახასიათებდა ნაშრომებს, იქნება გაფორმების ერთიანი სტრუქტურა, რაც მნიშვნელოვანია, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლები ძირითად აქცენტს ნაშრომის შინაარსზე აკეთებდნენ, რაც არ ათავისუფლებს იმ პასუხისმგებლობისგან, რომ გაფორმების თვალსაზრისით დაუშვან გარკვეული ხარვეზები.

პლაგიატის შესახებ განაცხადა, რომ შინაარსში შეუძლებელია გაიპაროს პლაგიატი, რადგან მაგისტრანტმა უნდა ჩამოაყალიბოს თეორია, რომლის ჩამოყალიბების დროსაც უნდა გამოიტანოს დასკვნა, სადაც პლაგიატი გამორიცხულია, რადგან საგნის სპეციალისტები უსმენენ. მიუხედავად ამისა დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას, რადგან შესაძლებელია მაგისტრანტმა იხელმძღვანელოს გარკვეული წიგნით, რათა უკეთესი გახადოს მისი ნაშრომი, შეიძლება აღნიშნული რეკომენდაცია შეეხებოდეს შესავალ ნაწილს, რადგან თეორემის დამტკიცებაში თუ იქნება პლაგიატი მიიღებს შესაბამის დასკვნას, ამიტომ აქ პრაქტიკულად გამორიცხულია პლაგიატი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელს იმ ნაწილში, სადაც მისაღებია პლაგიატის პროგრამის გამოყენება, თუმცა აქამდე თავს იმით იმშვიდებდნენ, რომ ხელმძღვანელი, რეცენზენტი და კომისია ჰყავთ. გაფორმების წესთან დაკავშირებით დასძინა, რომ, როგორც კი აკრედიტაცია დამთავრდა ფაკულტეტის საბჭომ განაახლა ის შაბლონი, რომელიც ჰქონდათ სამაგისტრო ნაშრომისათვის, კიდევ ერთხელ მოხდა მისი რე-დამტკიცება უკვე გაგზავნილია ყველა მაგისტრანტთან და ხელმძღვანელთან, შესაბამისად პრობლემა აღმოფხვრილია.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა, ქეთევან შავგულიძემ, განაცხადა, რომ აღნიშნული ნაშრომები ინახება მასთან, სტუდენტები საბოლოოდ აგზავნიან და შემდეგ გამოდის დაცვაზე, ხელმძღვანელს მანამდე ნაწილი აქვს, ასევე ნახულობს მთელი კომისია, რომლის თავმჯდომარე ძალიან დაწვრილებით განიხილავს ნაშრომს და ყველა შენიშვნას იქვე ეუბნება, ძალიან იშვიათად, რომ რამე შეცდომა გაეპაროს დაწესებულებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია „გამოყენებითი მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით.

„გამოყენებითი მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, გია ავალიშვილი, მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისათვის. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ძალიან სასარგებლო იყო პროგრამისა და მთლიანად ფაკულტეტისთვის, გაჩნდა ბევრი პირობა იმისა, რომ გაეზარდათ მოთხოვნის დამოკიდებულება, როგორც ცნობილია მათემატიკოსები მკაცრი მიდგომების ადამიანები არიან და ყოველთვის ყველაფერს ძალიან სკურპულოზურად უდგებიან, შესაძლებელია სხვა სპეციალობებიც, თუმცა ვინაიდან თვითონ მათემატიკოსია მხოლოდ ამ დარგზე საუბრობს, როგორც წესი სამეცნიერო თვალსაზრისით არავის არაფერს პატიობენ, რაც ხშირად იწვევს ხოლმე წინააღმდეგობას სტუდენტებისგან, რჩევები კი მათთვის იურიდიული საფუძველია, რომ რასაც აკეთებენ წლების განმავლობაში გამყარებულია სახელმწიფოებრივი მიდგომითაც. რაც შეეხება ტექნიკურ შეცდომებს, დაწესებულება გეგმავს კიდევ უფრო გაამკაცროს, ქულობრივად თუკი კომისია რაიმეს პატიობდა და უფრო ლიბერალურად დამოკიდებულება ჰქონდათ უფრო მკაცრად მიუდგებიან, რათა ყველა სტუდენტს ესმოდეს, რომ ვინც იცავს სამაგისტრო ნაშრომს, მას უმაღლეს დონეზე უნდა ჰქონდეს ნაშრომი შესრულებული და არაფერი ეპატიება, რისი საფუძველიც დაწესებულებას ექსპერტთა ჯგუფის რჩევამ მისცა (რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესების დაცვა უნივერსიტეტში/ფაკულტეტზე მოქმედი რეგულაციების შესაბამისად), რაც ასევე უნდა მოხდეს. ერთ-ერთი მთავარი ინიციატივა რომელიც განახორციელა დაწესებულებამ იყო მკვეთრი გამიჯვნა, რადგან მსოფლიო თვალთახედვითაც „მათემატიკა“ არ ემთხვევა

„გამოყენებით მათემატიკას“ არსებობს საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც შეიძლება არ იყოს საბოლოო, მაგრამ ეს ორი დიპლომი გამიჯნეს, „მათემატიკაში“ დატოვეს ფუნდამენტური საკითხები და „გამოყენებით მათემატიკაში“ გადაიტანეს გამოყენებითი საკითხები.

დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს, პლაგიატთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციის (რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმება გახდეს სავალდებულო) შესახებ. პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ არანაირი პრობლემა არ არის, რომ გაატარონ ნაშრომები პლაგიატზე, თუმცა გააფრთხილებენ, რომ თუ პლაგიატი არ დადასტურდება არ ნიშნავს. რომ ნაშრომი არანაირ პლაგიატს არ შეიცავს, თუმცა სტუდენტს ნუ ექნება იმის იმედი, რომ ის ნამდვილად არ შეიცავს რაიმე ხარვეზს, პლაგიატი იქნება ფორმალური შემოწმება, თუ ისიც ვერ გაიარა ექნება ნული ქულა და არანაირი იმედი არ იქნება ნაშრომის დაცვაზე დაშვების, მთავარი დანარჩენი ნაწილია, სადაც პლაგიატის სისტემა დაწესებულებას ვერ დაეხმარება.

პირველ რეკომენდაციასთან (რეკომენდებულია სწავლის შედეგების რუკის კორექტირება, ვინაიდან შეუძლებელია სასწავლო კურსების თითქმის უმრავლესობაში ისეთი კომპეტენციის მიღწევა, როგორცაა „პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვა“, „ღირებულებების და მიდგომების დამოუკიდებლად შეფასება“. შესაბამისად, სასწავლო კურსებში გასაანალიზებელია აღნიშნული კომპეტენციების მიღწევის შესაძლებლობა შემდგომი დაზუსტებისა და კორექტირების მიზნით) დაკავშირებით მან განმარტა, რომ შესაძლებელი იყო აღნიშნული პუნქტი საერთოდ არ ჩაედოთ ავტონომიურობაში, რადგან ჰქონდათ სხვა პუნქტები, რომელთან დაკავშირებითაც ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონია რეკომენდაცია, აღნიშნული საკითხის ყველგან გაწერას განაპირობებდა დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრება, რომ ეს შეიძლება ყოფილიყო გარკვეულწილად სასარგებლო, ეთიკა როგორც მათ ესმით მოიცავდა ქცევითი სტანდარტების/ნორმების დამკვიდრებას ნებისმიერ სპეციალობაში, ბუნდოვანია და არ არსებობს ეთიკის კოდექსი მათემატიკის მიმართულებით, თუმცა გარკვეულ

ქცევით ნორმებს მოიცავს, რომელ ნორმებზეც ყველა საგანშია საუბარი, როდესაც სტუდენტი ამტკიცებს რაღაცას, მაგ., კეთილსინდისიერება, რომ არ უნდა მოიტყუოს დამტკიცებაში, არ უნდა ახსენოს სიტყვა „ცხადია“ და მსგავსი სიტყვები თუ არ აქვს ამის დასაბუთება. გარკვეული მათემატიკურ-ეთიკური ნორმები, რომლებიც ცხადია არ შეიძლებოდა ყოფილიყო ერთ რომელიმე საგანში ჩადებული, საბოლოო ჯამში აღნიშნული უნარი უნდა გამოუმუშავდეს, როდესაც სტუდენტი ამთავრებს სამაგისტრო პროგრამას, რაც არის კონგლომერატი ყველას ერთობლივი მუშაობის. ზოგადად, თუ ისაუბრებენ „მათემატიკისა“ და „გამოყენებითი მათემატიკის“ საგნებზე მთლიანობაში შესაძლებელია დაასახელონ ერთი საგანი, რადგან რეალურად პატარ-პატარა განშტოება ასწავლის ერთ მიზანს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, განაცხადა, რომ გადახედა პროგრამას და შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებით კითხვები არ აქვს, თუმცა მას თვალში მოხვდა მეოთხე რჩევა (სასურველია სამაგისტრო ნაშრომის შეფასება (ქულობრივი) მოხდეს მხოლოდ რეცენზენტისა და კომისიის წევრების მიერ, ხოლო ხელმძღვანელმა ამ პროცესში არ მიიღოს მონაწილეობას) დაინტერესდა, თუ როგორია დაწესებულების ხედვა აღნიშნულ რჩევასთან დაკავშირებით და აპირებენ თუ არა მის გათვალისწინებას, რადგან როგორც ჩანს ხელმძღვანელს აქვს ქულობრივ შეფასებაში მონაწილეობის უფლება.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ომარ ფურთუხიამ განაცხადა, რომ ხელმძღვანელის ხვედრითი წილი ძალიან ცოტაა.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, დასძინა, რომ იგივე მეორდება სწავლა-სწავლების მეთოდებში. მას სურდა საბჭოს ყურადღება გაემახვილებინა კიდევ უფრო დახვეწის თვალსაზრისით სწავლის შედეგები გაზომვადი ფორმით ჩამოყალიბებისთვის, საბაკალავრო პროგრამაში კარგად არის გამოკვეთილი, თუმცა აქაც „შეუძლია“, თუმცა დანარჩენი ზმნები ჩამოყალიბებულია გაზომვადობის პრინციპით, რომ მიეცეს შესაძლებლობა ვინც არის

შედეგების მიღწევაზე დაკვირვების პასუხისმგებელი პირი, რომ შეძლოს ამის იდენტიფიცირება, თუმცა უმჯობესი იქნება „შეუძლია“ ფორმულირება შეიცვალოს და მთლიანად გაზომვადი პრინციპით ჩამოყალიბდეს, ეს იქნება სავარაუდოდ რჩევა, რადგან ის ზმნები შემდეგ გამოყენებული აქვთ, მისი მოსაზრებით ეს პროგრამას უფრო დახვეწავს და გაათანამედროვეებს.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ შეფასების კომპონენტში ერთი, მცირე კომპონენტია ხელმძღვანელის შეფასება, არის ექსპერტის შეფასება და მთავარი დატვირთვა მოდის კომისიის შეფასებაზე, მისი მოსაზრებით ხელმძღვანელის ხვედრითი წილი შეფასებაში უნდა იყოს, ეს არ არის გადამწყვეტი და არსებითი.

„მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, თეიმურაზ ახოზაძე, დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ ხელმძღვანელი ამ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს არ თამაშობს, თუმცა თავის მხრივ სრულიად ობიექტურ ინფორმაციას აწვდის კომისიას, რაც დადებით როლს ასრულებს, მისი რეკომენდაციები იძლევა გარკვეულ ინფორმაციას, რომელიც შესაძლებელია სასარგებლო იყოს კომისიისთვის, შესაბამისად მას არ მიაჩნია სწორად მისი სრულიად გამორიცხვა პროცესიდან.

ექსპერტმა, ირმა ქურდაძემ, განაცხადა, რომ არ იგულისხმებოდა სრულიად გამორიცხვა, შესაძლებელი იყო ჩანაცვლებულიყო ის 20 ქულა, ხელმძღვანელის უფლებამოსილება, ქულების ნაწილი ჩანაცვლებულიყო დოზირებით, სწორედ ეს იგულისხმეს, საუბარი არ არის როლის გამორიცხვაზე, რადგან ხელმძღვანელი ერთ-ერთი მთავარი პირია, რჩევა არის რჩევა დაწესებულებას შეუძლია მიღოს და შეუძლია არ მიიღოს.

საბჭოს წევრი, თამარ ჩხაიძე, მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს, მას სურდა ესაუბრა სამაგისტრო ნაშრომების ტექნიკური გაფორმების შესახებ და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს რეგულაცია, რომელიც რამდენიმე ნაშრომი არ იყო დაცული, თუ აღნიშნული ხარვეზი შეფასებაში არის ასახული ამ შემთხვევაში, იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა სტუდენტი დაიცავს სტანდარტს საკმაოდ რთულია, იგი დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფმა დაადარა თუ არა ტექნიკური ხარვეზის მქონე ნაშრომები და მათი შეფასება. მან გაიხსენა დაწესებულების წარმომადგენლების მიერ ნათქვამი „მოწესრიგდა“, „გადამუშავდა“ და დაინტერესდა ფიქრობენ თუ არა დაწესებულების წარმომადგენლები, რომ ის რეგულაცია, რომელიც არსებობდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პროცესში საჭიროებდა გარკვეულ გადამუშავებას, თუ ითვალისწინებენ და ეთანხმებიან გაცემულ რეკომენდაციას. მისი ძირითადი აქცენტი მიემართება საკითხს, რომ შესაძლებელია არსებობდეს ხარვეზი, მაგრამ თუ ის ასახულია შესაბამის შეფასებაში, ინსტიტუციის მიმართ ვერ ექნება რაიმე სახის კითხვა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს უფრო დაეზუსტებინათ ხელმძღვანელისა და რეცენზენტის როლი სამაგისტრო ნაშრომის შეფასების პროცესში, ანუ მათი ქულობრივი შეფასებები გათვალისწინებულია შემდეგ კომისიური შეფასების დროს თუ ისინი, როგორც კომისიის წევრებიც მონაწილეობენ პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რომეო გალდავამ, განაცხადა, რომ ღირებულების თვალსაზრისით რა ნაშრომებიც გამოითხოვეს შემთხვევითობის პრინციპით ორ ნაშრომში აღმოჩნდა, რომ დარღვეული იყო გაფორმების წესი, რის გამოც დაკლებული იყო ქულა აღნიშნულ ნაწილში, თუმცა შედეგსა და მის ღირებულებაზე არ ეპარება ეჭვი, ისეთ პროცედურას გადის მაგისტრანტი საბოლოო დაცვამდე, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის თხოვნა/რეკომენდაცია იყო ასეთი, რატომ უნდა დააკლდეს სტუდენტს ქულები, როდესაც შესაძლებელია დაიცვას სტანდარტი.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, განაცხადა, რომ მანაც ნახა და ორივე პროგრამის დოკუმენტში „გამოყენებითი მათემატიკის“ ნაშრომები იყო წარდგენილი და არა „მათემატიკის“, მისთვის გაუგებარია ტექნიკური ხარვეზი იყო თუ ექსპერტთა ჯგუფმა მხოლოდ ეს სამი ნაშრომი ნახა, ასევე დაეთანხმა, რომ ციტირება და გაფორმების წესები არ არის

გამოვლენილი, ამიტომ მისთვის საინტერესოა, რადგან 3-დან 2 ნაშრომი საკმაოდ ბევრი ჩანს პროცენტული თვალსაზრისით, ამ მიმართულებით რამდენად ხშირია და თუ აკეთებენ მონიტორინგს, თუნდაც ფაკულტეტის სამსახური, რომ მიეწოდებინა დამატებითი ინფორმაცია. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რომელი გალდავამ, განაცხადა, რომ მათ გამოითხოვეს, როგორც „მათემატიკის“ მიმართულების სანამგისტრო ნაშრომები, ასევე „გამოყენებითი მათემატიკის“ მიმართულების და ასევე, სადოქტორო ნაშრომები, ყველა ნახეს, თუმცა ისე გამოვიდა, რომ მათ მიერ შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული ნაშრომებიდან მოცემული ორში იყო გარკვეული სახის ხარვეზები გაფორმების სტილთან მიმართებით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა დასძინა, რომ შერჩევა არ იყო რეპრეზენტატიული.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, შეამჩნია, რომ ლიტერატურაც ერთი იყო აღნიშნული ნაშრომების.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რომელი გალდავამ, განმარტა, რომ სწორედ აღნიშნულ საკითხზე საუბრობდნენ.

ექსპერტმა, თამარ თავხელიძემ, განაცხადა, რომ მათაც გაუჩნდათ ეს კითხვა და დაწესებულებისგან მიიღეს პასუხი, რომ მათ დანახული აქვთ არსებული პრობლემა.

„მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, თეიმურაზ ახოზაძემ, განაცხადა, რომ რეცენზენტები თავიანთ პროგრამაში აღნიშნავენ, ესა თუ ის ნაშრომი როგორ არის გაფორმებული და რა ხარვეზები აქვს, უმეტეს რეცენზიებში აღნიშნული ფაქტი არის ხოლმე ასახული, რაც შეფასებაზე შესაბამის გავლენას ახდენს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა, ქეთევან შავგულიძემ, ხვედრით წილთან დაკავშირებით განაცხადა, რომ 100 ქულიდან 20 ქულა მოდის ხელმძღვანელის შეფასებაზე, 20 რეცენზენტზე, 60 კომისიაზე, ხელმძღვანელი და რეცენზენტი არ შედის კომისიაში, იშვიათი გამონაკლისია თუ კომისიაშია ხელმძღვანელი, ძირითადად ხელმძღვანელი სხვაა და კომისიის შემადგენლობა სხვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა იყო თუ არა აღნიშნული საკითხი რეგულირებული, არის თუ არა დასაშვები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყოველ წელს ხელახლა დგება კომისია, დასაშვებია, ყოფილა ხელმძღვანელი კომისიაში, თუმცა ყოველ წელს ახალი კომისია დგება და ცდილობენ ვინც არ არიან ხელმძღვანელები ისინი მოხვდნენ კომისიაში.

საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი, დაინტერესდა თუ რას აფასებს ხელმძღვანელი, რეცენზენტი და რამდენად იდენტურია მათი შეფასება კომისიის შეფასებებისა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 20 ქულას ხელმძღვანელი წერს, რომელიც ძირითადად ესწრება დაცვას, ამბობს თავის შეხედულებას თუ როგორ იმუშავა სტუდენტმა სემესტრის განმავლობაში, სემესტრის მანძილზე იმუშავა თუ მხოლოდ სემესტრის ბოლოს.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, დააზუსტა იყო თუ არა ეს დახასიათება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დახასიათება არ არის, აფასებდა რა დასკვნა მიიღო, რა ლიტერატურა გამოიყენა და ა.შ.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, დააზუსტა რეცენზენტთან გადაგზავნამდე ფასდებოდა თუ არა ნაშრომი ხელმძღვანელის მიერ, შემდეგ აფასებს რეცენზენტი და ბოლოს ხვდება კომისიაზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაცვამდე ორი კვირით ადრე კათედრაზე ხელმძღვანელი უსმენს სტუდენტს და წერს დასკვნას, შემდეგ ნაშრომი მიდის რეცენზენტთან, მან არ იცის ხელმძღვანელის შეფასება.

საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი დაინტერესდა ეს ყველაფერი ქულობრივად ფასდება თუ ნარატიულად.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეცენზენტთან მიდის ნაშრომი და ისე ფასდება.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, დააკონკრეტა, რომ სანამ კომისიაზე გავა ხელმძღვანელი აფასებს თუ არა ქულობრივად.

ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ნაშრომი გადის ე.წ. წინასწარ დაცვაზე, სადაც კომისია იღებს გადაწყვეტილებას დაუშვას საჯარო დაცვაზე თუ არა, რაც არ ფასდება ქულობრივად. ქულობრივად ფასდება ბოლოს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს ორი სხვადასხვა კომისიაა.

საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენლებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შემდეგ გამზადებული ნაშრომი მიდის რეცენზენტთან, იგი ნახულობს ნაშრომს, არც კომისიის არ ხელმძღვანელის შეფასება იცის, დამოუკიდებლად აფასებს ნაშრომს და 20 ქულიდან წერს შესაბამის ქულას, როგორც ნაშრომი ჟურნალში რომ გაიგზავნება და რეცენზენტი წერს ყველაფერი ასეა, ამის შემდეგ კომისიასთან საჯარო დაცვაზე გადის სტუდენტი, კომისიის თითოეული წევრი ნახულობს ნაშრომს გაფორმებას, ლიტერატურას, დაწვრილებით აღინიშნება ხარვეზები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა, რომ 60 ქულიდან კომისია აფასებს ნაშრომს და ამას ემატება რეცენზენტის 20 ქულა და ხელმძღვანელის 20 ქულა.

„მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, თეიმურაზ ახოზაძემ, დასძინა, რომ ფასდება არა მხოლოდ ნაშრომი, არამედ პრეზენტაციაც.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ დებულებით ნებადართულია, რომ ხელმძღვანელი იყოს საბჭოს წევრი, მან 20 ქულით შეაფასა სანამ საბჭომდე მოვიდა აღნიშნული ნაშრომი, თუ ხელმძღვანელი არის საბჭოს წევრიც ანუ იმ 60 ქულაშიც იღებს მონაწილეობას თუ არა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 60 ქულა ფასდება შემდეგნაირად, კომისიის თითოეული წევრი აფასებს 60 ქულიდან, ზოგმა შეიძლება 50 ქულით შეაფასოს ნაშრომი, ზოგმა 60 და ა.შ. შემდეგ გამოდის საშუალო არითმეტიკული.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განაცხადა, როდესაც რეცენზენტმა დაწერა თავისი 20 ქულა, ხელმძღვანელმაც დაწერა 20 ქულა წინასწარი დაცვის დროს, კომისიამაც დაწერა 60 ქულა. აქ ისმის კითხვა: ხელმძღვანელმა და რეცენზენტმა ნაშრომი, რომ შეაფასეს ცალ-ცალკე 20-20 ქულით სხვადასხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით, მაგრამ კომისიამ შეაფასა ამ კრიტერიუმებითაც და სხვა კრიტერიუმებითაც.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა დასძინა, რომ ეს არის პრეზენტაციის უნარები, კითხვებზე პასუხების გაცემა და სხვა.

საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ როგორ ხდებოდა გასაშუალოება.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ომარ ფურთუხიამ, განაცხადა, რომ ხდებოდა მხოლოდ კომისიის ქულის გასაშუალოება, კომისიის ქულას ემატებოდა ხელმძღვანელისა და რეცენზენტის ქულები, თუმცა მათი ქულები შესაძლებელია არ იყოს დაფიქსირებული და შეიცვალოს 2-3 კვირის მანძილზე, მაგრამ მანამ, სანამ ხელმძღვანელი დათანხმდება რომ ვინმეს სამაგისტრო ნაშრომი გააკეთებინოს მიდის 2-3 კვირიანი მუშაობა და შესაძლებელია უარი თქვას.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ მისთვის გასაგები იყო ეს ყველაფერი, იგი დაინტერესდა ხელმძღვანელს ან რეცენზენტს შეეძლო თუ არა შეეფასებინა პრეზენტაციის ხარისხი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ომარ ფურთუხიამ, განაცხადა, რომ თუკი ხელმძღვანელი კომისიაშია ის თავს შეიკავებს და დანარჩენები შეაფასებენ. წესების განახლებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ წესები დიდხანია არსებობს, თუმცა, ხელმძღვანელებს შეიძლება რამე დაავიწყდათ და ხელახლა გააგზავნეს. მან დასძინა, რომ 20 ქულა არ ნიშნავს 20 ქულას, ზოგმა ხელმძღვანელმა შესაძლებელია დაწეროს 10 ქულა,

რეცენზენტმა 12, კომისია უყურებს თუ როგორ გააკეთა პრეზენტაცია, ნაშრომი როგორ არის გაფორმებული, წესები იყო თუ არა დაცული, რაზეც ქულები აკლდება სტუდენტს.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, დააზუსტა თუ როდის წერენ ხელმძღვანელი და რეცენზენტი ქულებს, თვითონ დაცვის პროცესში თუ მანამდე ორი კვირით ადრე.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ომარ ფურთუხიამ განაცხადა, რომ ქულის დაწერა ხდება დაცვის პროცესში, მანამდე სამაგისტრო ნაშრომში დევს ხელმძღვანელის ზოგადი დასკვნა, სადაც წერია ზოგადი ფრაზა, იმსახურებს მაღალ შეფასებას, კარგ შეფასებას და ა.შ.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, დააზუსტა, ანუ კომისიის წევრებმა არ იციან რა ქულები დაწერა ხელმძღვანელმა და რეცენზენტმა.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ომარ ფურთუხიამ, განმარტა, რომ ზოგადი ფრაზები ისეა, რათა სიტყვა შეფასება არ იყოს ნახსენები.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, დააზუსტა, რომ შეფასება ხდებოდა უშუალოდ პროცესში.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ომარ ფურთუხიამ, განაცხადა, რომ შეფასება ხდება პროცესში, ცალკე, დამოუკიდებლად კომისია თავის საშუალო არითმეტიკულს გამოიყვანს, ხელმძღვანელი მას შემდეგ, რაც სამი თვე მუშაობდა სტუდენტთან დაცვაზე შეხედავს, რეცენზენტსაც უკვე დაწერილი აქვს რეცენზია, სადაც შეიძლება ქულა არ ეწეროს, ცალ-ცალკე ფურცლებზე ჩამოწერენ ქულებს და შემდეგ პროფესორი აჯამებს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ირმა გრძელიძემ, განაცხადა, რომ ხედავენ უმაღლესი ხარისხის ნაშრომებს აღნიშნული მიმართულებით და იმასაც ხედავენ, რომ ხშირ შემთხვევაში მიმართულება ხშირად არ ადარებს მსგავსებას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს პროცესი მათემატიკის დეპარტამენტს არ მიემართება, იტვირთება Moodle-ს პლატფორმაში და ცალკეული კურსების ცალკეული დავალებების დროს აქტიურად გამოიყენება, ისევე როგორც მთელი ამ ხნის განმავლობაში პროცესში, სტუდენტებს წვდომა ცალსახად აქვთ. რაც შეეხება ნაშრომის გაფორმებას, შესაბამისი შეფასებები ნაშრომების არასწორად გაფორმების შემთხვევაში ცალსახად დაკლებულია.

8. მერვე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მათემატიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11/07/2012, გადაწყვეტილება №195
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მათემატიკის დოქტორი

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მათემატიკა - 0541
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	35
14	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტის ქ. №13, თბილისი, უნივერსიტეტის XI კორპუსი, 0177, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა ნინო ინასარიძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მესამე, მოთხე, მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რომეო გალდავამ, პატივისცემა გამოხატა განმახორციელებელი პერსონალისადმი, განსაკუთრებით სადოქტორო პროგრამაში ჩართული პირებისადმი, რადგან მათ იმ დონის მოთხოვნა აქვთ დაყენებული სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, რომ ცალსახად განსაზღვრავს ნაშრომის ღირებულებას, დოქტორანტის

დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობა - სადისერტაციო ნაშრომის კვლევების წარმოდგენა სამეცნიერო კონფერენციაზე, სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული სულ მცირე სამი სამეცნიერო ნაშრომი - რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში, რომელთაგან ერთი მაინც გამოქვეყნებულია Clarivate Analytics-ის Web of Science-ში ინდექსირებულ დადებითი Impact ფაქტორის მქონე ჟურნალში, ერთი ნაშრომი მაინც გამოქვეყნებული სამეცნიერო ჟურნალში Clarivate Analytics-ის Web of Science-ში ან SCOPUS-ში ინდექსირებულ ჟურნალში. აღნიშნული მოთხოვნა საგრძნობლად მაღლა წევს დაცვისთვის წაყენებულ მოთხოვნებს, რაც თავის მხრივ არის ძალზედ მნიშვნელოვანი პროგრამისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენა (B2 დონე) - ცნობილია, რომ სადოქტორო პროგრამები დგება მინიმალური სტანდარტის შესაბამისად და მინიმალური სტანდარტიდან იყო გადმოტანილი გამოცდა უცხო ენა B2 დონე, თუმცა სასწავლო კურსებში ძირითადი ლიტერატურა არის ინგლისურენოვანი, სამაგისტრო პროგრამებზე მოითხოვენ ასევე ინგლისურს, როგორც „მათემატიკაზე“, ასევე „გამოყენებით მათემატიკაზე“, გაიცა რეკომენდაცია, რომ განსაზღვრულიყო არა, უბრალოდ, უცხო ენა არამედ ინგლისური;

2. რეკომენდებულია, „მათემატიკური კვლევების თანამედროვე მეთოდების“ სასწავლო კურსის მიზნები, სწავლის შედეგები და კურსის შინაარსი მოყვანილ იქნას სრულ შესაბამისობაში - შესაძლებელია ტექნიკური ხარვეზი იყო, თუმცა აღნიშნულ კურსში იყო აცდენა შინაარსს, მიზანსა და შედეგს შორის, რეკომენდაცია კი მოიცავდა, რომ გადაეხედათ სასწავლო კურსისთვის და შეეტანათ კორექტივები ან შედეგში ან კონტენტში, რათა მოსულიყო ბმაში ერთმანეთთან;

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით პროგრამა ღირსეულია თავისი შესაძლებლობიდან, აკადემიური პერსონალიდან გამომდინარე, ექსპერტები შეხვდნენ კურსდამთავრებულებს, რომლებიც არიან წარმატებულები, პროგრამის ხელმძღვანელები და ა.შ. სხვადასხვა უნივერსიტეტებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ომარ ფურთუხიამ, განაცხადა, რომ რეკომენდაციები უკვე გატანილია ფაკულტეტის საბჭოსა და აკადემიურ საბჭოზე, მან სიტყვა გადასცა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორს, გრიგორ გიორგაძეს.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორი, გრიგორ გიორგაძე, მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს, მან დაადასტურა პატივისცემა და კეთილგანწყობა ექსპერტთა ჯგუფის მიმართ, მან განაცხადა, რომ შეეძლო ნაწილობრივ დათანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფს შეფასების კონტექსტში. რეკომენდაციები მისაღებია დაწესებულებისთვის, მაგრამ შესაძლებელია დავა, მიუხედავად ამისა დაწესებულებამ უკვე გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები.

პირველი რეკომენდაციის შესახებ, მან აღნიშნა, რომ რეკომენდაცია გამოწვეული იყო, იმით რომ ყველა მითითებული სახელმძღვანელოს და თანამედროვე სამეცნიერო ენა არის ინგლისურ ენა. მეორე რეკომენდაცია კი ეხებოდა სასწავლო კურსს, რომელიც ახალია პროგრამისთვის, ეს არის „მათემატიკური კვლევების თანამედროვე მეთოდები“, კურსის მიზნებსა და შედეგებში შეუსაბამობა იქნა დადგენილი, რასაც დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა, რადგან ეს არის სადოქტორო პროგრამის სილაბუსი, მან თვითონ დაწერა თანავტორებთან ერთად და რასაც აუცილებლად გაასწორებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიძევილმა, „მათემატიკური კვლევების თანამედროვე მეთოდებთან“ მიმართებით განაცხადა, რომ თვითონ პროგრამის შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებით არ აქვს საუბარი, უბრალოდ დაინტერესდა თუ რამდენად საჭიროა აღნიშნული კურსი მათემატიკოსებისათვის კვლევების განსახორციელებლად.

საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა, პროგრამის მიღების წინაპირობის მეორე პუნქტთან დაკავშირებით დაინტერესდა თუ რამდენად არის საკმარისი პროგრამის მიღების წინაპირობებში მხოლოდ გასაუბრებით მიღება და აპლიკანტს არ მოეთხოვება რაიმე სახის მცირე ზომის კვლევითი პროექტის წარდგენა, რითიც უზრუნველყოფილი იქნება პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის კომპეტენციების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვა.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორმა, გრიგორ გიორგაძემ, განაცხადა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი საჭიროა, რადგან ეს მათი მოგონილი არ არის და მსგავსი ტრადიციები წამყვან უნივერსიტეტებშიც არსებობს, ზოგჯერ დოქტორანტს სჭირდება 2-3 სემესტრის დამატება იმისათვის, რომ მან მიაღწიოს იმ დონეს, რაც საჭიროა ინტერდისციპლინური უვიწროესი კვლევების ჩასატარებლად, დაწესებულებას ჰყავს პროფესორები, რომლებიც შიდა დისციპლინარულ პრობლემებს წყვეტენ და უნდათ, რომ მათმა დოქტორანტებმაც იგივე სადოქტორო ნაშრომი შეასრულოს, იყო გარკვეული ნაწილი, რომელსაც დეპარტამენტიც დაეთანხმა, რომ მიღებული ყოფილიყო ასეთი დისციპლინა, რომელიც იქნებოდა არა მათემატიკური კვლევის ზოგადი მეთოდოლოგია, არამედ მათემატიკური დისციპლინების ერთიანი მეთოდოლოგია, რომელიც გარკვეულ აბსტრაქციებსა და მოწინავე გამოცდილებაზე იქნებოდა დაყრდნობილი.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ომარ ფურთუხიამ, განაცხადა, რომ გასაუბრება სინამდვილეში არის გამოცდის ერთ-ერთი სახე, რომელიც აგებულია შემდეგ პრინციპზე, სტუდენტი დგება დაფასთან და რაიმე სტატია თუ აქვს გამოქვეყნებული ან რა თემაზე აპირებს მუშაობას, გასაუბრება უფრო მეტია ვიდრე წერიტი გამოცდა, გასაუბრებაზე მისული აპლიკანტების დაახლოებით 40% უკან ბრუნდება ან ლებულობენ პირობითად, მაგ., მას ჰყავს დოქტორანტი ქართულ პროგრამაზე, რომელსაც გერმანული უნდოდა, თუმცა უარი უთხრეს, მაგრამ შესაძლებელია ერთ წელში გადავიდეს გერმანულ პროგრამაზე. ასევე მაგისტრატურაზე 25-45 მსურველია და 15-17-ზე მეტი არასდროს მიუღიათ, სადაც ყველა მიმართულების პროფესორი ესწრება და უსვამენ კითხვას, მას შემდეგ რაც პრეზენტაციას გააკეთებს მაძიებელი. ექსპერტმა, თამარ თავხელიძემ, „მათემატიკური კვლევების თანამედროვე მეთოდებთან“ დაკავშირებით განაცხადა, რომ სწორედ აღნიშნული პროგრამის ერთ-ერთი დადებითი მხარეა „მათემატიკური კვლევების თანამედროვე მეთოდების“ არსებობა, რადგან ძალიან ბევრ უნივერსიტეტში ასწავლიან ზოგადად კვლევის მეთოდებს, შემდეგ რთულია სხვადასხვა მიმართულების სტუდენტმა განსაზღვროს თუ რა კვლევის მეთოდების გამოყენებაა შესაძლებელი და ა.შ., თუმცა აღნიშნული სასწავლო კურსი უფრო ამარტივებს ყველაფერს და პროგრამის მიზანი, რომ ჩამოაყალიბოს და განუვითაროს მეცნიერული მეთოდები აღნიშნული სასწავლო კურსი ნამდვილად დაეხმარება ამაში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ირმა გრძელიძემ, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსათვის. მან განაცხადა, რომ „მათემატიკური კვლევების თანამედროვე მეთოდები“ არის ახალი, ძალიან საინტერესო სასწავლო კურსი, რომელიც შემუშავებულია პროგრამის გამლიერებისთვის, დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია, თუმცა მიაჩნიათ, რომ უფრო რჩევის ხასიათს ატარებს, რადგან ეს არ არის მასიური საკითხი მიმართებული სხვა კურსებთან.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ომარ ფურთუხია დაეთანხმა ექსპერტს, თამარ თავხელიძეს. მან განაცხადა, რომ გარდა იმისა, რაც რეკომენდაციაში იყო კიდევ დააზუსტეს კვლევის ზოგიერთი თანამედროვე მეთოდი, რადგან ძალიან ბევრი მეთოდი და ყველა ვერ მოესწრებოდა 5 კრედიტში, გარდა ამისა „მათემატიკური მოდელები“ ასევე მეთოდებია სხვა მიმართულების, ეს არ არის უძრავი, შესაძლებელია სილაბუსი ყოველწლიურად შეიცვალოს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 18:29

დასრულების დრო: 19:43

მეხუთე საკითხი:

აკრედიტაციის საბჭოს მიერ „მათემატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია სწავლის შედეგების რუკის კორექტირება, ვინაიდან შეუძლებელია სასწავლო კურსების თითქმის უმრავლესობაში ისეთი კომპეტენციის მიღწევა, როგორცაა „პროფესიული ეტიკის სტანდარტების დაცვა“, „პროფესიული განვითარების დაგეგმვა და პროფესიულ საქმიანობაში გააზრებული გადაწყვეტილების მიღება“. შესაბამისად, სასწავლო კურსებში გასაანალიზებელია აღნიშნული კომპეტენციების მიღწევის შესაძლებლობა შემდგომი დაზუსტებისა და კორექტირების მიზნით;
- რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
- რეკომენდირებულია მერვე სემესტრის კრედიტების განაწილების გადახედვა და მოდიფიცირება;
- რეკომენდირებულია „პროექტი 1-4“ სილაბუსი წინაპირობების ნაწილში მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამის სტრუქტურასთან.

რჩევები:

- სასურველია საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურაში ტერმინი „კონცენტრაცია“ შეიცვალოს სხვა ტერმინით. სასურველია თავისუფალ კრედიტებს გააჩნდეთ რეალურად თავისუფალი სტატუსი და არ შემოიფარგლებოდნენ კონკრეტული მცირე რაოდენობის სასწავლო კურსებით;
- სასწავლო კურსების სილაბუსები ითვალისწინებს სპეციალური კოდების არსებობას, თუმცა არც პროგრამასა და არც სილაბუსებში კოდები ასახული არ არის. სასურველია აღნიშნული საკითხის დარეგულირება;
- სასურველია „კონცენტრაცია 8: ინდივიდუალური კვლევითი პროექტები“ სავალდებულო არჩევით კომპონენტად გარდაიქმნას;
- სასურველია, სასწავლო კურსებში გადაიხედოს სწავლა/სწავლების მეთოდები, ვინაიდან სილაბუსებში შეინიშნება გარკვეული ერთფეროვნება, რიგ შემთხვევაში აბსოლუტური მსგავსება. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანი იქნება ამ მიმართულებით გარკვეული ღონისძიებების გატარება;
- სასურველია საბაკალავრო ნაშრომისა და პროექტების ქულობრივი შეფასება მოხდეს მხოლოდ კომისიის წევრების მიერ, ხელმძღვანელმა ამ პროცესში არ მიიღოს მონაწილეობა;

ვ) სასურველია, სასწავლო კურსებში გადაიხედოს შეფასების მეთოდები და ფორმები, ვინაიდან, სილაბუსებში შეინიშნება შეფასების მეთოდებისა და ფორმების მსგავსება. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანი იქნება ამ მიმართულებით გარკვეული ღონისძიებების გატარება.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მე-3 და 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

მეექვსე საკითხი:

აკრედიტაციის საბჭოს მიერ „მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 2.6 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

ა) რეკომენდებულია სწავლის შედეგების რუკის კორექტირება, ვინაიდან შეუძლებელია სასწავლო კურსების თითქმის უმრავლესობაში ისეთი კომპეტენციის მიღწევა, როგორცაა „პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვა“, „ღირებულებების და მიდგომების დამოუკიდებლად შეფასება“. შესაბამისად, სასწავლო კურსებში გასაანალიზებელია აღნიშნული კომპეტენციების მიღწევის შესაძლებლობა შემდგომი დაზუსტებისა და კორექტირების მიზნით;

ბ) რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;

გ) რეკომენდირებულია, გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომების შეფასების წესი;

დ) რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესების დაცვა უნივერსიტეტში/ფაკულტეტი ზემოქმედი რეგულაციების შესაბამისად;

ე) რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმება გახდეს სავალდებულო.

რჩევები:

ა) სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში მიეთითოს პროგრამაზე მობილობითა და საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის შესაძლებლობა არსებული კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) სასწავლო კურსების სილაბუსები ითვალისწინებს სპეციალური კოდების არსებობას, თუმცა არც პროგრამასა და არც სილაბუსებში კოდები ასახული არ არის. სასურველია აღნიშნული საკითხის დარეგულირება;

გ) სასურველია, სასწავლო კურსებში გადაიხედოს სწავლა/სწავლების მეთოდები, ვინაიდან სილაბუსებში შეინიშნება გარკვეული ერთფეროვნება, რიგ შემთხვევაში აბსოლუტური მსგავსება. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანი იქნება ამ მიმართულებით გარკვეული ღონისძიებების გატარება

დ) სასურველია, სასწავლო კურსებში გადაიხედოს შეფასების მეთოდები და ფორმები, ვინაიდან, სილაბუსებში შეინიშნება შეფასების მეთოდებისა და ფორმების მსგავსება. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანი იქნება ამ მიმართულებით გარკვეული ღონისძიებების გატარება.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მე-3 და 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

მეშვიდე საკითხი:

აკრედიტაციის საბჭოს მიერ „გამოყენებითი მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

ა) რეკომენდებულია სწავლის შედეგების რუკის კორექტირება, ვინაიდან შეუძლებელია სასწავლო კურსების თითქმის უმრავლესობაში ისეთი კომპეტენციის მიღწევა, როგორცაა „პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვა“, „ღირებულებების და მიდგომების დამოუკიდებლად შეფასება“. შესაბამისად, სასწავლო კურსებში გასაანალიზებელია აღნიშნული კომპეტენციების მიღწევის შესაძლებლობა შემდგომი დაზუსტებისა და კორექტირების მიზნით;

ბ) რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესების დაცვა უნივერსიტეტში/ფაკულტეტ ზემოქმედი რეგულაციების შესაბამისად;

გ) რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმება გახდეს სავალდებულო.

რჩევები:

ა) სასურველია პროგრამაზე დაშვების ერთერთი წინაპირობა-„ბაკალავრის ხარისხი დამატებითი სპეციალობით (მაინორი) „მათემატიკა“ დაკორექტდეს, ვინაიდან დამატებითი სპეციალობა ბაკალავრის ხარისხს არ ანიჭებს;

ბ) სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში მიეთითოს პროგრამაზე მობილობითა და საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის შესაძლებლობა არსებული კანონმდებლობის შესაბამისად;

გ) სასწავლო კურსების სილაბუსები ითვალისწინებს სპეციალური კოდების არსებობას, თუმცა არც პროგრამასა და არც სილაბუსებში კოდები ასახული არ არის. სასურველია აღნიშნული საკითხის დარეგულირება;

დ) სასურველია, სასწავლო კურსებში გადაიხედოს სწავლა/სწავლების მეთოდები, ვინაიდან სილაბუსებში შეინიშნება გარკვეული ერთფეროვნება, რიგ შემთხვევაში აბსოლუტური იდენტურობა. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანი იქნება ამ მიმართულებით გარკვეული ღონისძიებების გატარება;

ე) სასურველია სამაგისტრო ნაშრომის შეფასება(ქულობრივი) მოხდეს მხოლოდ რეცენზენტისა და კომისიის წევრების მიერ, ხოლო ხელმძღვანელმა ამ პროცესში არ მიიღოს მონაწილეობა;

ვ) სასურველია, სასწავლო კურსებში გადაიხედოს შეფასების მეთოდები და ფორმები, ვინაიდან, სილაბუსებში შეინიშნება შეფასების მეთოდებისა და ფორმების მსგავსება. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანი იქნება ამ მიმართულებით გარკვეული ღონისძიებების გატარება

გადაწყვეტილება:

„უმალღესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მე-3 და 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

მერვე საკითხი:

აკრედიტაციის საბჭოს მიერ „მათემატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 2.4 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, აკრედიტაციიდან 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

- ა) რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენა (B2 დონე);
- ბ) რეკომენდებულია, „მათემატიკური კვლევების თანამედროვე მეთოდების“ სასწავლო კურსის მიზნები, სწავლის შედეგები და კურსის შინაარსი მოყვანილ იქნას სრულ შესაბამისობაში;
- გ) რეკომენდირებულია სადოქტორო პროგრამის კომპონენტებისათვის-დოქტორანტის სემინარი, სამეცნიერო კვლევითი პროექტი-დადგინდეს წარსადგენი ნაშრომისადმი (სტრუქტურა, გვერდების რაოდენობა, შრიფტი, ველები დაა. შ) სარეკომენდაციო მოთხოვნები.

რჩევები:

- ა) სასურველია, მიეთითოს პროგრამაზე ჩარიცხვის სხვა შესაძლებლობები (უცხოეთის უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები, ფაკულტეტის შიგნით მობილობა), როგორც ეს ფაკულტეტის დოქტორანტის დებულებაშია მოცემული;

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის

განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ექვსი თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2021 წლის 25 ივნისის 19:50 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
სხდომის მდივანი
კაჭარავა მაკა

